მარქსის ენგ. ლენ. ინს. საქ. ფ.
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

F 76 N 370

პარასკევი, 7 თებერვალი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 6 (165) ფასი 30 კაპ.



## ამხანაგ კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვს

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო შენი დაბადების სამოცი წლისთავზე მხურვალედ მოგესალმებიან შენ, ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიის ერთერთ უაქტიურეს მშენებელს, საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უთვალსაჩინოეს ორგანიზატორს და წითელი არმიის გამოჩენილ სარდალს.

მთელი შენი სიცოცხლე ჭაბუკობის წლებიდან შენ მოანდომე მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმისათვის რევოლუციურ ბრძოლას, რუსეთის 1905—1907 წლების პირველი რევოლუციის პერიოდში შენ იბრძოდი დონეცის რევოლუციურ მუშების მოწინავე რიგებში და ლენინთან და სტალინთან ერთად აშენებდი ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას. შენ იყავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთერთი უაქტიურესი მონაწილე და მისი ბოლშევიკური ხელმძღვანელი დონბასში, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთერთი პირველი ორგანიზატორი. შენი სარდლობით მე-V უკრაინულმა არმიამ 1918 წელს, გაარღვია რა თეთრ ყაზახთა კონტრრევოლუციის რკალი, მოახდინა გმირული ლაშქრობა ცარიცინისაკენ. შენი ხელმძღვანელი მონაწილეობით შეიქმნა პირველი ცხენოსანი არმია, რომელმაც უკვდავი სახელი მოიხვეჭა, შენ ამ არმიასთან ერთად განვლე სახელოვანი, ძლევამოსილი გზა, მასთან ერთად მუსრავდი დენიკინის კონტრრევოლუციას, ანადგურებდი თეთრპოლონელებს, სპობდი ვრანგელის თეთრ ბანდებს.

წითელი არმია რომ მძლავრ და მრისხანე ძალად გადაიქცა, ამას იგი ბევრ რამეში უნდა უმადლოდეს შენს მრავალი წლის დაუღალავ მუშაობას მისი ხელმძღვანელობის დარგში.

შენი სახელოვანი რევოლუციური მოღვაწეობის ყველა ეტაპზე პარტია გიცნობს შენ როგორც პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტრების წინააღმდეგ მამაცსა და თანმიმდევარ მებრძოლს. შენი დაუცხრომელი და ნაყოფიერი მუშაობით როგორც პარტიულმა ხელმძღვანელმა, სახელმწიფო მოღვაწემ, წითელი არმიის მშენებელმა შენ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ შენ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და მებრძოლო ამხანაგო, მრავალი წლის ჯანმრთელობას და შემდგომს ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ ვოროშილოვს

საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ქართველი ხალხი თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს მხურვალე სალამს გითვლიან და ყოველ კეთილს გისურვებენ თქვენ, ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, მძლავრი წითელი არმიის სახელგანთქმულ მხედართმთავარს.

იყავით რა წითელი არმიის ერთერთი თვალსაჩინო მშენებელი, თქვენ, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, სამოქალაქო ომის ფრონტებზე ანადგურებდით თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციას.

თეთრგვარდიელთა ბანდებისა და ინტერვენტებისაგან ჩვენი ქვეყნის გაწმენდის შემდეგ, ხელმძღვანელობდით რა სოციალიზმის შეიარაღებულ ძალებს თქვენ სჭედდით საბჭოთა კავშირის თავდაცვითს ძლიერებას და დაუღალავად განაგრძობთ მის განმტკიცებას.

თქვენი სახელი, მტკიცე ლენინელის, უაღრესად თვალსაჩინო პარტიული ხელმძღვანელისა და სახელმწიფო მოღვაწის სახელი, ახლობელი და ძვირფასია მთელი საბჭოთა ხალხისათვის. ამასთანავე ეს სახელი შიშის ზარსა სცემს ჩვენი ქვეყნის მტრებს, რომელთაც უკვე არაერთხელ იგემეს მამაცი წითელი არმიის უძლეველი იარაღის გამანადგურებელი ძალა.

მრავალ წელს სცოცხლობდეს პირველი მარშალი საბჭოთა კავშირისა, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ჩვენი კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხანაგ კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, წითელი არმიის ორგანიზაციისა და განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას ამხანაგი კლიმენტი ეფრემის-ძე **ვოროშილოვი**, მისი დაბადების სამოცი წლისთავზე, — **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1941 წლის 3 თებერვალი.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### წითელი არმიის გენერალური შტაბის აკადემიისათვის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის სახელის მიკუთვნების შესახებ

ამხ. კლიმენტი ეფრემის-ძე **ვოროშილოვის** დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად მიეკუთვნოს ამხ. კ. ე. **ვოროშილოვის** სახელი წითელი არმიის გენერალური შტაბის აკადემიას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1941 წლის 3 თებერვალი.

## წითელი არმიის გამოჩენილი სარდალი

მიმდინარე წლის 4 თებერვალს 60 წელი შეუსრულდა ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეს, **ლენინისა** და **სტალინის** ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს, წითელი არმიის სახელოვან სარდალს **კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვს.** ამ სამოცი წლიდან ორმოც წელზე მეტი ამხანაგმა ვოროშილოვმა მოახმარა მშრომელთა განთავისუფლებისა და ბედნიერების საქმეს, რევოლუციური ბრძოლების საქმეს.

კ. ვოროშილოვი ერთერთი შესანიშნავი წარმომადგენელია იმ პროფესიულ რევოლუციონერთა თაობისა, რომლებიც მუშათა კლასის წრიდან გამოვიდნენ და **ლენინისა და სტალინის** ხელმძღვანელობით ბოლშევიკურ პარტიას აშენებდნენ, რომლებსაც მტკიცედ მიჰყავდათ მშრომელი მასები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კ. ვოროშილოვი დონბასელი მუშის შვილია. მან ადრევე იგემა კაპიტალისტური ექსპლოატაციის სიმკაცრე და სიმწარე. ჯერ კიდევ შვიდი წლისამ დაიწყო მუშაობა მაღაროში. როცა თხუთმეტი წლის გახდა, სამუშაოდ შევიდა „დიუმოს“ მეტალურგიულ ქარხანაში. იქ იგი მალე მუშათა რევოლუციური წრის ხელმძღვანელი გახდა. 1899 წელს ამ ქარხანაში მეონკანეთა გაფიცვამ იფეთქა, მას ხელმძღვანელობდა თვრამეტი წლის ვოროშილოვი.

1903 წ. კ. ვოროშილოვი რსდმპ-ში შევიდა და მაშინვე ბოლშევიკებს მიემხრო, მტკიცედ დადგა თანმიმდევრობით ლენინურ-სტალინურ პოზიციებზე. ლუგანსკში გარკმანის ქარხანაში მუშაობის დროს კ. ვოროშილოვი მალე გახდა ლუგანსკელი ბოლშევიკების ხელმძღვანელი, მუშათა მასების რევოლუციური ბრძოლებისათვის დამრაზმავი. შემდეგ წლებში მას რუსეთის სხვადასხვა ქალაქში უხდება რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობა. რევოლუციური მუშაობისათვის ამხანაგი ვოროშილოვი არა ერთხელ დაუპატიმრებიათ და გადაუსახლებიათ, მაგრამ მეფის მთავრობის სასტიკმა დევნამ ვერ გასტეხა მისი მებრძოლი ბუნება, მუშათა კლასის საქმის გამარჯვების შეურყეველი რწმენა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კ. ვოროშილოვი დაბრუნდა ლუგანსკში (ახლა ვოროშილოვგრადი) და სათავეში ჩაუდგა ლუგანსკელი პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციისათვის.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამხანაგმა კ. ვოროშილოვმა დიდი და მრავალმხრივი მუშაობა გააჩაღა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი რევოლუციური ორგანოების განმტკიცების საქმეში. იგი ერთერთი იმათგანია, რომლებიც **ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით ჰქმნიდნენ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას.

სამოქალაქო ომის წლებში ფართოდ გაიშალა ამხანაგ კ. ვოროშილოვის სამხედრო მოღვაწეობა. 1918 წელს, გაზაფხულზე, კ. ვოროშილოვი სათავეში ჩაუდგა ლუგანსკის პირველ სოციალისტურ პარტიზანულ რაზმს და თავდადებულად ებრძოდა თეთრგვარდიელებსა და ოკუპანტებს. დონბასის პირველი და მესამე არმიების რაზმები ამხანაგმა ვოროშილოვმა შეუერთა უკრაინის მეხუთე არმიას და მოაწყო ორგანიზებული ლაშქრობა ცარიცინისაკენ, გაარღვია რა თეთრი ყაზახების კონტრრევოლუციის რკალი. დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით კ. ვოროშილოვი მონაწილეობას იღებს ცარიცინის გმირულ დაცვაში. ამის შემდეგ იგი ინიშნება პირველი ცხენოსანი არმიის სამხედრო - რევოლუციური საბჭოს წევრად და პოლიტიკურ ხელმძღვანელად.

ცარიცინის გმირული დაცვის დროს, დენიკინის განადგურებისას, პოლონეთის ფრონტის გარღვევისას, ვრანგელის ლიკვიდაციის დროს, კრონშტადტის კონტრრევოლუციური ამბოხების ჩაქრობის დროს, — ფრონტის ყოველ უბანზე ამხანაგი ვოროშილოვი დიდი **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა და ბრწყინვალედ ანხორციელებდა სტალინურ სტრატეგიულ გეგმებს.

სამოქალაქო ომის წლებიდან ამხანაგი კ. ვოროშილოვი სამხედრო-თავდაცვითი სამუშაოზეა. იგი ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის, შემდეგ მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალია.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ წითელი არმია გარდაქმნისა და დაძაბული საბრძოლო წვრთნის პერიოდში შევიდა. ფრუნზესთან ერთად ვოროშილოვი ამ მუშაობის სული და გული გახდა. საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე იდგა ამოცანა — შეექმნა ძლიერი და ძლევამოსილი არმია, მძლავრი მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი არმია, რომელიც შესძლებდა საბჭოთა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვას. დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით ამ საქმეში სხვებთან ერთად უდიდეს მუშაობას ატარებდა ამხანაგი კ. ვოროშილოვი.

მ. ფრუნზეს გარდაცვალების შემდეგ პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამხანაგი ვოროშილოვი დააყენეს საბჭოთა კავშირის მთელი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელ პოსტზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქნა წითელი არმიის რეორგანიზაცია. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე მოეწყო წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სრული ხელახალი შეიარაღება უახლესი საბრძოლო ტექნიკური საშუალებებით, რამაც ჩვენი სამხედრო ძალები გახადა უძლეველი.

პრინციპულობა პოლიტიკაში, შეურიგებლობა ბოლშევიკური ხაზიდან ყოველგვარი გადახრისადმი, ულმობელობა მუშათა კლასის ყველა მტრისადმი — აი, პროლეტარული რევოლუციონერის კ. ვოროშილოვის დამახასიათებელი თვისება.

თავის ერთერთ გამოსვლაში ამხ. კ. ვოროშილოვი ამბობდა: „მე ჩვენი პარტიის შვილი ვარ, და თუ რაიმე ღვაწლი მიმიძღვის ხალხის წინაშე, ამას უნდა ვუმადლოდე ჩვენს პარტიას, ჩვენს ბელადს—ამხანაგ სტალინს“. ეს სიტყვები გვიხატავენ კ. ვოროშილოვის, — **ლენინისა და სტალინის** ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, მთელი სახელოვანი ცხოვრების გზას.

საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა — მუშებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა ინტელიგენციამ დიდის აღფრთოვანებით აღნიშნა კ. ვოროშილოვის დაბადებიდან 60 წლისთავის შესრულების თარიღი და უსურვა მას ხანგრძლივი სიცოცხლე ხალხისა და პარტიის საკეთილდღეოდ.



## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლ. პ. ბერიასათვის სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის სახელწოდების მინიჭების შესახებ.

მიენიჭოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** სახელმწიფო უშიშროების **გენერალური კომისრის** სახელწოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1941 წლის 30 იანვარი.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გაყოფის შესახებ

გაყოფილ იქნას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ორ სახალხო კომისარიატად:

1. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატად
2. სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1941 წლის 3 თებერვალი.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ლ. პ. ბერიას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია** სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1941 წლის 3 თებერვალი.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლ. პ. ბერიას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია** სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1941 წლის 3 თებერვალი.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ვ. ნ. მერკულოვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ვსევოლოდ ნიკოლოზის-ძე **მერკულოვი** სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1941 წლის 3 თებერვალი.

# ბესარიონ გაბაშვილი

პროფ. ა. ბარამიძე

ბესარიონ გაბაშვილი, უფრო ცნობილი ბესიკის სახელწოდებით, დაიბადა თბილისში 1751 წელს გამოჩენილი ორტოდოქსი მოძღვრის, პიიტიკოს-მწიგნობრის, სატირიკოსისა და პედაგოგის ზაქარიას ოჯახში. ბესიკის აღზრდას კარგი ნიადაგი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ბედუკუღმართობამაც მალე იჩინა თავი. თეიმურაზ მეორის მოძღვარმა და მესაიდუმლე ზაქარიამ ერთ დროს აჯობა ვითომც მწვალებლობისადმი მიდრეკილ ანაფორიან ბაგრატიონს, განთქმულ კათალიკოსს ანტონ პირველს.

პირველი გამარჯვება ზაქარიას ძვირად დაუჯდა. ირაკლი მეორემ გამეფებისას ექსკათოლიკოსს კვლავ დაუბრუნა ძველი პატივი. ზაქარია არ გატეხილა. ურჩობა და ჯიუტობა-კი ნამოძღვრალს არ შეარჩინეს: ჩამოართვეს მღვდლობის ხარისხი, განკვეთეს ეკლესიიდან, დასწყევლეს და შეაჩვენეს. ზაქარიას მაინც არ მოუხრია ქედი. ოფიციალური წყაროების მიხედვით, თითქოს „მიერითგან უკეთურესთა საქმეთა მოქმედი“ გამხდარა კიდევაც. ახლა უკანასკნელ ზომას მიჰმართეს: ხარისხთან ერთად ზაქარიას ქონებაც ჩამოართვეს, შეჩვენებულს წაჰგვარეს ოჯახი, მხოლოდ სიცოცხლე შეუნარჩუნეს და ხელცარიელი გააძევეს საქართველოდან. მახვილი ჰუმორით აუწერია ზაქარიას თავისი ამბავი არზა-წერილში „ასტრახნით მოსკოვს მათისა უგანათლებულესობისა მეფის ვახტანგის ძისა გიორგისადმი“.

მეთაურის გაძევებამ შეარყია გაბაშვილთა ოჯახის ფუძე. ოჯახის უსაკო წევრები, მათ შორის ბესიკიც, სჩანს, სასახლეში გადაიყვანეს. ზნეობრივი დამცირების მხარეს რომ თავი დავანებოთ, მაინც უსათუოდ შეფერხდებოდა ბესიკის ნორმალური განსწავლის საქმე. მაინცდამაინც 11 წლის ბესიკს დაატყდა თავს ეს საშინელი უბედურება. გაბაშვილთა ოჯახის აფორიაქება შემდგომაც გრძელდებოდა... არ ვიცით, სად და ვისთან, მაგრამ ბესიკმა განათლება შედარებით კარგი მიიღო, ის დახელოვნდა ქართულ პიიტიკაში, შეითვისა ანტონის გრამატიკული სკოლის ტრადიციები, იგემა სპარსულ-აზერბაიჯანული პოეზიის ჰაშნიკი და ძალღონე სცადა ქართული ლექსების თხზვაშიც (მაშინ სკოლებში ლექსების თხზვას ასწავლიდნენ). ჭაბუკი მგოსანი მალე მოექცა უმაღლესად წარჩინებული და ინტელიგენტური საზოგადოების წრეში, თუმცა—გადმოცემით—ის არც მდაბიო, ლხინის მოყვარულ, ყარაჩოღლურ წრეს თაკილობდა. მოხდენილი, ახოვანი, კეთილი, მაგრამ მგზნებარე და ცხარე ბესიკი ყველას ყურადღებას იქცევდა, ყველას ხიბლავდა.

უკვე საყოველთაოდ მიჩნეულ და დაფასებულ 23-24 წლის ბესიკს ანაზდეულად „დაჰბერნა ქარმან დაუწყნარმან“ და კვლავ აურია ცხოვრების გზები,—ის გააძევეს ქართლის მიწიდან.

რად? რისთვის?

გარეგნულად მომხიბლავი სახის პატრონი და უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი თურმე ძალზე დაუახლოვდა სამეფო გვარეულობის წევრ მანდილოსნებს. ანებივრებდნენ და გულის ხვაშიადს ანდობდნენ მგოსანს ქალები. თეიმურაზ მეფის ასული, დაქვრივებული ბატონიშვილი ანა თითქოს სიყვარულის გრძნობამაც შეიპყრო ბესიკის მიმართ. ამბავი გამჟღავნებულა. სასახლეს უთაკილია. პოეტი დაუთხოვნიათ. გაძევებული ბესიკი აჰყოლია ქალაქის ბოგანო ტრუბადურულ წრეს, ღვინოსა და ბაიათებში ჩაუხშავს მწუხარე განცდა. აშიკი ქვრივი კი დაისაჯა და მონასტერში გაისტუმრეს. ერთხელ მგოსანი მაინც სწვევია სასახლის უბანს, შავებში გამოწყობილ მონაზვნებისთვის თვალი მოუკრავს, ერთ იმათგანში ამოუცვნია გულის ტრფიალი და მუნასიბად კიდეც შეუთხზავს თავისი შედევრი: „შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი“. ლექსი ფართოდ გავრცელებულა და მიუღწევია მეფის ყურამდე. შეურაცხყოფილი მეფე შეურაცხმყოფელ მგოსანს უპირებდა სამაგალითოდ დასჯას. მაგრამ მგოსანმა დაასწრო და ფიცხლად გარდიხვეწა. ზოგიერთი ცნობით, ირაკლიმ თითქოს ქართლიდან გაძევება აკმარა კადნიერ მგოსანს.

ასეთია ბესიკის ცხოვრების ერთი ლეგენდა. მაგრამ ლამაზი ლეგენდა მაინც ლეგენდად რჩება.

უკანასკნელი დროის კვლევა-ძიებით გარკვეულია, რომ ბესიკიც უცილობლად მსხვერპლი გამხდარა ქედმაღალი და სწავლული კათალიკოსის ანტონ პირველის ფანატიკური რისხვისა. მგოსანს უცდია თავის მართლება. გაძევების უშუალო შთაბეჭდილებით დაუწერია შესანიშნავი „ცრემლთა ისარნი“ და მიუგზავნია მწყალობელ ბატონისათვის (ირაკლისათვის), რომლის „სახე უსახო“ ან „საახვახოდ გადაქცეული“ მისთვის ყოფილა შვების მომგვრელი და სანეტარო, „სხვამცა პატრონი ანუ დრონი ვერღა დავსახეთ“-ო.

ქართლიდან გაძევებული ბესიკი იმერეთს გარდახვეწილა.

ბესიკი კარგად მიიღეს იმერთა სამეფო კარზე: დაუყვავეს, წყლული დაუშუშეს, დაასაჩუქრეს, შესთავაზეს შესაფერისად ღირსეული თანამდებობა. როგორც ჩინებული მწიგნობარი და ენების მცოდნე, ის ჯერ დავთარხანაში განაწესეს მდივანთუხუცესად, ხოლო მალე აჰკიდეს დიპლომატიური საქმიანობის ტვირთიც.

1784 წელს გარდაიცვალა სოლომონ დიდი. იმერეთის ტახტზე ავიდა ჯერ უსაკო, გაუწაფავი და განუსწავლელი, სუსტი ნებისყოფის მქონე დავითი. დავითის გამეფებას, „სხვათა შორის, ხელი შეუწყეს გაბაშვილებმაც. ბესიკს შემთხვევა მისცემია დაახლოვებოდა დავითის ჰაეროვან მეუღლეს, მომხიბლავ, ნაზ და გრძნობიერ ანას. პოეტი შეუპყრია სიყვარულის, თავშეუკავებელ მხურვალე გზნებას. „სიყვარული კაცს აბრმავებს და სილამაზის ობიექტური შეფასების ალღოს უკარგავსო, თორემ, თუ ბესიკს დავუჯერებთ, ანა ყოფილა სილამაზის სრულყოფილი განსახიერება. პოეტი ფიცით გვარწმუნებს: „ვფუცავ, ვე არვინ მიხილავს, რომ არს მშვენებით ანაო“ და იქვე აცხადებს გამოტეხილად: „ჯობს, რომ არ ჰყავდეს მიჯნური ან მოჰკლას ამისთანამან“. მარადიული ერთგულება და შეურყეველი სიმტკიცე აღუთქვამს ბესიკს თავის სატრფოსთვის.

შესაძლებელია, ბესიკი თავის სიტყვას შერჩა. თუმცა მისი ქცევა მართლაც ბადებდა საკმაო ეჭვებს. ანას სიყვარული, ყოველ შემთხვევაში, პირველი ან ერთად-ერთი ვერ იქნებოდა. ძლიერი სიყვარულით ჰყვარებია ბესიკს ყულარაღასის ქალი მაიაც. ამისდამიუხედავად, ანა დედოფლის სახელი სამუდამოდ თან ჩაჰქსოვა ბესიკის სახელს. ანას სიყვარულმა შთააგონა მგოსანი და შემოქმედებითი ცეცხლით ალაგზნო იგი. ნესტანის ქალწულებრივი კდემამოსილების საპირისპიროდ ანა შევიდა ქართულ პოეზიაში როგორც სიმბოლო ქალური ვნებისა, დაუცხრომელი და დაუძლეველი ეროტიზმისა.

ნიჭისა, უნარისა და ანას წყალობით ბესიკი, ელიზბარ ერისთავთან ერთად, ფაქტიური მბრძანებელი გახდა იმერთა სახელმწიფოსი. მაგრამ სწორედ დიდმა სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ გაჰყარა პოეტი და დედოფალი.

1783 წელს ქართლ-კახეთის მეფემ ირაკლიმ მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა და ცნობილი ხელშეკრულება („ტრაქტატი“) დასდო ეკატერინე მეორესთან. რუსეთის პროტექტორატის აღიარება გადასწყვიტა იმერეთმაც. ამ მიზნით რუსეთში მიავლინეს საგანგებო მისია. დესპანთა კოლეგიუმს მეთაურობდა ბესიკი. ბესიკი ეწვია პეტერბურგს (აწინდელ ლენინგრადს). პეტერბურგიდან ის გაემგზავრა ფელდმარშალ პოტიომკინთან, რომელიც მაშინ პირადად ხელმძღვანელობდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის საკითხებს. ბესიკს ცხოვრება უხდებოდა პოტიომკინის ბანაკში ჯერ კრემენჩუგს (უკრაინაში) და შემდეგ იასას (ბესარაბიაში). ბესიკმა აქაც საყოველთაოდ ცხადჰყო თავისი დიდი დიპლომატიური ნიჭი, მოლაპარაკება ბრწყინვალედ დააბოლოვა და როდესაც საქმე უკვე პრაქტიკული განხორციელების სტადიაში იმყოფებოდა, სიკვდილმა უსწრო. სჩანს, ბესიკი ხშირად ავადმყოფობდა. 1788 წლის თარიღით მას ჩაუნიშნავს თავის დღიურში: „ჩვენს ექიმს ჰქვიან მიხაილუ გრიგორიე-სინ ბორისევიჩ, რომელიც არის შტაფ-ლეკარი. და ესე არს მღვთივ მოცემული იმედი, და მრავლად იღვაწა ჩვენთვის“-ო. ბესიკი გარდაიცვალა ქალაქ იასას 1791 წლის 24 იანვრის სუსხიან ღამეს თუ 25-ის გამთენიერს (ძველი სტილით). ბესარაბიის ცივმა საფლავმა მიიბარა მზიური ქვეყნის მგზნებარე პოეტის გული. ტყუილად კი არ უთქვამს ბესიკს გედის სიმღერად:

„ჰაერი ცივ-ნამიანი,
ჩემთვის აღარ-ა დღიანი“.

შინაარსითაც და ფორმითაც ნაირია და მრავალფეროვანი ბესიკის პოეზია. ამისდამიუხედავად, ბესიკის პოეზიის ძირი მაინც სიყვარულია, მარად ძველი და მარად ახალი თემა მსოფლიო პოეზიისა. სიყვარულის წარმტაცი გრძნობის პოეტიკური წარმოსახვით ბესიკს ბადალი არა ჰყავს ძველ საქართველოს ლირიკოსებში. და განა მარტო ქართველ ლირიკოსებში? ბესიკი თვითონ ჰაფიზის ტოლი-ოსტატი მომღერალია სიყვარულისა. ოღონდ, თუ ჰაფიზს კიდევ შერჩენია სუფისტური მისტიკის გარსი, ბესიკი უფრო კონკრეტულია. უფრო საგნობრივად, უფრო უშუალოდ, უფრო მძაფრად განიცდის და პოეტური სიტყვითაც ავლენს ბესიკი სიყვარულის სტიქიის უძლეველ ძალას. ბესიკის პოეზია მოკლებულია იმ მშრალ, განყენებულ მწიგნობრულ სამიჯნურო რეზონერობას, ასე ძლიერად რომ დასტყობია სპარსული და ქართული პოეზიის მრავალ ჩინებულ წარმომადგენელს. ბესიკი მხატვრულად ავლენს სიყვარულის ორმაგ ბუნებას—ტკბილსა და მწარეს.

„შენის ბაგისა ორი მეცნენ: ტკბილი და მწარე,
ორკეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე“, —

ეუბნება პოეტი სატრფოს მომჯადოებელი გრძნობიერებით და ამ გრძნობიერების მხატვრული გამოსახვის სწორუპოვრობით. სიყვარული თითქოს ნივთიაო ხელშესახები, ორკეცად უნდა გადაეფაროს და გაალხოს პოეტის დამზრალი გული. ლამაზია და უჩვეულო მხატვრული სახე ორკეცი სიყვარულისა. ბესიკს არ აშინებს სიყვარულის „შხაკვის“ სიმწარე. „პირველ შაქრისა გემო იყავ, ახლა ხარ მწარი“, მაგრამ „მე ტკბილის გულით შემოგყურებ“-ო მაინც. პოეტი მზადაა საკუთარი თავის უარყოფით სამარადისო ძეგლად დაედვას ტრფობის სამსხვერპლოს და თუმც სატრფოს არწმუნებს: „ლამის რომ მოვკვდე, ვერ შევიქმნა შენი მზრახველი“-ო, ხანდისხან ადამიანური წაყვედრებითაც ჰკადრებს სამდურავს:

„მე გული სრულად შემოგწირე, შენ ხმა არ გამეც“.

ანდამატისებრ მიმზიდველიაო („ანდამატისებრ მიმზიდავ“) და უძლეველი გზნება სიყვარულისა. ავარვარებულ კოცონს ადარებს იმას მგოსანი, „ანთებულს ცეცხლსა“, ყოველ მიზიდულს რომ ნთქავს და დაგავს. პირველად მოჩვენებითს ალერსიანად მოღიმარ მიჯნურის სახეს ასე მიუზიდავს და წარუტაცნია მგოსნის მართალი გული. მაგრამ ბრმა გრძნობის მორევს აყოლილს ფიქრიც კი გარინდებია („მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“), გონი დაუკარგავს და დაღუპულა:

„მღიმარის პირით წამეპარე, დამიდგი მახე,
ასე მეგონა, შემრჩებოდა ეგ შენი სახე,
ანთებულს ცეცხლსა შესაწველად ხელი შეგახე“.

მიჯნური პოეტი უპრეტენზიოა თავისი სურვილით, დამწვარი და განაწამები სანუგეშოდ ითხოვს მხოლოდ ჩიბრალულს: „დამწვარი მაინც შემიბრალე, ბესიკი ნახე“, „ერთხელ აღირსე შენი ხილვა შენსა მზირებსა“. სატრფო კი ჭირვეულია, მედიდური და გულზვიადი, თითქოს ეშვიანობით უმადურია, აუტანელი გულდახშულობით კარებს ანიშნებს გულმოკლულ მგოსანს:

„ძელი აიღე მაგ სავანებით,
შემჯე იძიე ბანის-ბანებით,
აგრე ვერ მომკი ვარდსა ყანებით,
სხვას გირჩევ გზასა და სხვას ძალებსა“.

ზოგჯერ ბესიკი თავის სატრფიალო განწყობილებას აყალიბებს სოციალურად გააზრებული სახით:

„მონა ვარ მისი მუდამ და მისი შემამკობელი,
იგია ჩემი ხელმწიფე და ჩემი დამადნობელი“.

პოეტის ჯანი გაულევია მოსიყვარულე გულის მღელვარებას; მას შერყევია ადრინდელი „გული კლდე-მყარი“, გამოშრეტია სიცოცხლის ნირი, სიკვდილის ჰანგს შეუპყრია:

„თვით შენმა გულმა კარგად იცის, ვარ შენი მკვდარი,
შენმან სურვილმან ჩამოლია გული კლდე-მყარი“.

მართლაც, ღირსეული სიტყვით გადმოუცია მგოსანს სიყვარულის გრძნობის სიმწვავე და მთელი სიდუხჭირე დაუკმაყოფილებელი წყურვილით ატეხილი ჟინისა. სიტყვით მჟღერია მძაფრი განცდის ნაყოფი მტანჯავი ურვა:

„ვა, სიცოცხლეო უკულმართო, დანაცარებო!“.

ბესიკის ძლიერი და მგზნებარე სიყვარული ხორციელია, მიწიერი, ეროტიული. ჰედონიკ მგოსანს გრძნობას უტყვევებს და გონს უკარგავს სატრფოს რიტმული, ვნების აღმძვრელი რხევა ტანისა, ციალი: „კვლავ მომკლა მისმან ციალმან და წელთა მიმოტანამან“, ამბობს ბესიკი ანა დედოფლის სახელობაზე დაწერილ ლექსში. „ზარიფსა წელსა დაეკვირვნეს ქვეყანად მვლელნი“, — იმეორებს ის კვლავ სხვაგანაც.

და, აი, გრძნობიერ მგოსანს თურმე როგორღაც შემოეყარა ცხოვრების გზაზე საოცნებო უცხო არსება „მოარული ეტლ-შვენიერად“ ტანის ტატანით და წელის რხევით. იმის ზევით აზიდულ „ამარტის“ თუ „ბროლის ველსა“ (გულმკერდის) დანათოდაო „შვენიერი მინა-ყელია“, გველებივით ჰქონია შემოგარსული ზილფი-კავები (ნაწნავები) და ებურაო „თმა მათ-გიშერი“, „თმა ღულამბარი“. „ვარდსა ბაღი გაეწითლა არვებით“ (ვარდის ბაღივით ღაღლაჟებდაო მისი პირსახე), ბაღს (პირი-სახეს) შეფარვოდაო „შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი“ (თვალები), ხოლო მის „თეთრთა ზღვათა შავნი ნავნი „მანავნი“ („შავნი ნავნი“ — თვალის გუგა — დასცურავდაო „თეთრთა ზღვათა“ — თვალის თეთრი გარსის სივრცეზე); თეთრი ზღვის ნაპირებზე აღმართულიყოო ხშირი ტყე-ტევრი (წარბ-წამწამები) და შიგ ჰინდთ ლაშქარს (წამწამებს) დაებანაკა. იქვე მოსჩანდა ძოწის, ლალის და ბროლის (ბაგე-კბილის) ზოდი. ქვევით ბროლის გაშლილ ველს (გულმკერდს) უცხოდ ამკობდაო „ნარინჯნი ორნი, ტოლნი, სწორნი“ ასე იტყოდით, „ორნი ობოლნი, ნაზად მწოლნი“ მოყვარენია. ხორცშესხმულ ალვას (სხეულს) „ესხა“ სხვაც „ორნი ნორჩნი მოსარხეველნი“ ანუ „მკლავნი მომკლავნი, თითნი თლილნი მოსახვეველნი“.

ერთის სიტყვით, სატრფოს სხეულის შნო და ლაზათია ბესიკისათვის სატრფიალო ექსტაზის წყარო. სატრფოს წარმტაცი სხეულითაა შთაგონებული სწორუპოვარი „ტანო ტატანო“. აქ ქალის სხეულის ჯადო-გრაცია ჭეშმარიტად ხელოვანი პოეტის ძალით აყვანილია ნამდვილი კულტის მაღალ ხარისხში.

ბესიკისათვის უცხო არ არის სევდა-ნაღველი და კაეშანი. სამაგალითო სიმახვილით ამბობს პოეტი: „სევდის ქამი ვსვი, გულს დავისვი ეკალთა ნარი“. ხშირი გლოვისა და ტირილისგან „აქვს ღაწვები ცრემლით ნაღარი“, „სტირს დღე და ღამე“, „გულ-მომდინარე“ სდის „თვალთ მდინარე“ და შეუქმნია „ცრემლთა ფონები“. ის „ბედკრულია“, „ბედმშული“ და „ბედისაგან იავარქმნილი“. „გულმოწყლულისთვის“ სიცოცხლეც ხომ „უკუღმართია, დანაცარები“. პოეტს „ჰკლავს და აწყლულებს სევდისა შხამი“ თუ „სევდის ჭური“. „სულმიწურვილი“ სულ მუდამ კვნესის: „ვა, ჩემსა ბედსა“, რადგანაც „დღენი აქვს „შესაზარი“. „ცრემლთა ისრებით“ დაწყლულებული „სევდის ბაღს“ სტუმრებია საკურნებლად, მაგრამ პოეტის „გლახ, შავი გული“ კვლავ დაუტუქსავთ და უგვემიათ.

მაგრამ უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ბესიკის სევდა-ნაღველი, მელანქოლია და მომენტურად მძაფრი პესიმისტური ურვა განსაზღვრულია არა იმდენად პოეტის სოციალური განცდით ან რაიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სარჩულით, რამდენადაც ისედ და ისედ სიყვარულის გრძნობის სიჭარბით, მიჯნურული წყურვილის ძალით. ბოლოსდაბოლოს სოფლის ის „ცვლილი ბრჭალი“, ასე მწარედ რომ უგემია პოეტს, ჭირვეული სატრფოს რისხვაა მხოლოდ, ხოლო „სევდის ბაღს“ დამკვიდრება მას დასჭირდა ტრფობის ბაღიდან გამოძევებით გულშეჭირვებულს. ამ მხრითაა საყურადღებო „ტანო ტატანოს“ ლირიკული ამონაკვნესი და ასმარება.

თუმცა ისიც კი უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ბესიკი სულ სხვა მოტივებით უჩივის სოფელს და „ბედის ვარსკვლავს“. უცხოეთში გარდახვეწილს, „შორი-შორი უცხოთა თემთა მავალს“ თითქოს დანათის—ვარსკვლავნი შავნი“. პოეტს იქ, კრემენჩუკ-იასაში მოსწყურებია „ხილულთა დროთა ნიშატნი“ და „ოდესთა ჟამთა ნაგვემს“ მოსძულებია თავისი თავი:

„სისხლისა ცრემლთა დაწთობა საახლოდ მომძურებია,
ხილულთა დროთა ნიშატნი საბავთოდ მომწყურებია,
ოდესნი ჟამნი დამგვემენ, მით თავი მომძულებია“.

„დაუდგრომელი“ ბედის პატრონი მგოსანი ერთგვარად იმეორებს ადრინდელ პოეტურ სახეს:

„სოფლისა ბრჭალმან, ვით გრიგალმან,
ჩემსა ბედსა უსწორა კილო“-ო.

და ჩვეული ნატვრა:

„დამკრიბნა ზარნი საკუთარნი,
სიცოცხლე ჰმახის: განტრი, სიკვდილო!“.

დიდად საგულისხმოა, რომ სასოწარკვეთილების შხამით ნარევი ეს „კილო გლოვისა“ მაშინ შეუთხზავს ბესიკს, როცა შორით სმენია საქართველოს შესანიშნავი მხედართმთავრის, ასპინძის სახელოვანი გმირის, გრძნობიერი პოეტის და პატრიოტის დავით ორბელიანის ცილისმწამებლური დევნის ამბავი. „ნუთუმცა გველმან, ენით მკვლელმან, გმირსა ქედსა დაგდვა საცილო“, აღშფოთებით უკითხავს მგოსანს, რომელსაც ერთხელ თვით განეცადა გველთა სისინის მსახვრალი ძალა:

„ვამე, თუ ხმითა, შენცა მითა
შეგრთო სევდასა, სცნა საწადილო!“.

ამრიგად, უეჭველია, რომ ბესიკის სევდას საზოგადოებრივი ნიადაგიც ასაზრდოვებდა.

მაგრამ მაინც სიყვარული, სწორედ ეროტიული სიყვარულია ბესიკის პოეტური შემოქმედების სამოტივო ღერძი. მტანჯავი სიყვარულის წრფელი და მართალი (ზოგჯერ ტრაგიული) ადამიანური განცდა და ამ ძლიერი განცდის დიდი მხატვრული კულტურით წარმოსახვა ბესიკს ჭეშმარიტ პოეტ-ლირიკოსის მაღალ ღირსებას ანიჭებს.

ბესიკი დიდი გემოვნების პატრონი პოეტ-ლირიკოსია. თუ ეპიურ ჟანრებში („ასპინძისათვის“, „რუხის ბრძოლა“, „რძალ-დედამთილიანი“) ის ჯერ კიდევ ძალიან განიცდის ქართული კლასიციზმის დაუძლეველ გავლენას, ლირიკული ჟანრების ხაზით ბესიკი უაღრესად თავისებურია და ორიგინალური. საიათნოვასთან ერთად ბესიკმა შემოიღო ქართულ მწერლობაში სრულიად ახალი პოეტური ჰანგი — მუხამბაზი (ამის სახენაცვალი ფორმებითურთ). მართალია, ამ ჰანგის ხმარებისას ქრონოლოგიური პრიორიტეტობა საიათნოვას ეკუთვნის, მაგრამ საქართველოში არასოდეს და არავის სხვას არ შეუთხზავს ბესიკის ძალის მუხამბაზური ლექსი. საიათნოვას ქართული მუხამბაზები, ლექსის ტექნიკის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, საკმაოდ მოუქნელია. მუხამბაზური ლექსის მაღალი კლასი მხოლოდ ბესიკმა ცხადჰყო.

ბესიკმა შთააგონა მუხამბაზური კილო პოეტთა მრავალ თაობას, ტყუილად კი არ იმეორებდნენ მე-19 საუკუნეში: „მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო“. მე-18-19 საუკუნეთა მიჯნის ქართული პოეზიის პაროლი მუხამბაზია. მუხამბაზურმა კილომ ჩაითრია დიდი რომანტიკოსი ლირიკოსები ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი. მუხამბაზური კილოს ჰანგზე იმღერა დიდმა აკაკიმ. მუხამბაზური კილოს ახალი, საბჭოური აჟღერება წარმატებით სცადა პოეტმა გრიშაშვილმა („მუხამბაზი სომხეთს“).

დიაღაც, რომ დიდი მხატვრული სრულყოფისაა ბესიკის ლექსი. მდიდრულია და ორიგინალური ბესიკის პოეტური ენა (თუმცა, ცოდო გამოტეხილი სჯობია, აქა-იქ რიტორიკული გატაცებაც კი შეინიშნება), მახვილია და წარმტაცი ბესიკის ლექსის მუსიკალური ჟღერა, რიტმი, რითმა. ბგერული ჰარმონიითა და ალიტერაციით ბესიკი სანიმუშოა. ბესიკმა გადაახალისა და გაამდიდრა ქართული ლექსის მხატვრული აქსესუარი, შექმნა პოეტურ გამოთქმათა, შედარებათა, მეტაფორათა და მისთანათა მთელი ახალი რიგი. პოეტური სიტყვის კლასიკურ სერიას განეკუთვნება უცილობლად „სევდის ბაღი“, „სევდის ჭური“, „ცრემლთა ისარნი“ და სხვ.

ბესიკი უპირატესად პოეტ-ლირიკოსია. ლირიკულ ჟანრებს კი დიდხანს ერთგვარად გზას ულობავდა შოთა რუსთაველის დაუძლეველი ავტორიტეტი. „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“-ო სთქვა მხატვრული გემოვნების კანონმდებელმა, და ქართული პოეზიაც საუკუნეთა განმავლობაში მას მიჰყვებოდა. ახალი სიტყვა მე-18 საუკუნემ სთქვა. სულხან-საბა ორბელიანმა, ვახტანგ მეექვსემ, მამუკა ბარათაშვილმა და დავით გურამიშვილმა საკმაოდ შეარყიეს ძველი ნორმების „გული კლდემყარი“. დაიწყო ქართული ლექსის დეფორმაცია. გამოჩნდა სიტყვის ოსტატთა ახალი კადრი. მე-18 საუკუნის ქართულმა პოეზიამ მაინც ორი მწვერვალი იცის: დავით გურამიშვილი და ბესარიონ გაბაშვილი.

# ბესიკი და მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის დამდეგის ქართული პოეზია

ტრიფონ რუხაძე

ბესიკი იყო გავლენის საგანი როგორც მე-18 საუკუნის, ისე მე-19 საუკუნის დამდეგის ქართველ მწერალთათვის. ამ დროის პოეტებს თავიანთ პოეზიაში შეჰქონდათ არა მარტო მანერა ბესარიონ გაბაშვილის „სევდის ბაღისა“, „ტანო ტატანოსი“ და „ანა დედოფლისა“, არამედ მის იდეურ მოტივაციასაც იზიარებდნენ.

გიორგი ერისთავი ერთ-ერთ თავის ლექსში გადმოგვცემს, რომ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში საოჯახო სალონებში შეკრებილი ქალები მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ ვინ გასწევს ბესიკის მაგივრობას:

„მახსოვს ერთხელა, საღამოს ჟამს იყო ყრილობა,
სახლსა დიდებულს, ტურფად გვამთა შექმნეს ცილობა,
რომე აწინდელთ ჭაბუკთ შორის არ არს მწერალი,
„ბეზიკის ნაცვლად, ვინ არისო ვთქვათ მომღერალი“.

ქართველი განმანათლებელი და ენციკლოპედისტი იოანე გიორგის-ძე ბატონიშვილი (1768-1830) აჯამებს მე-18 და მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში შემუშავებულ აზრს, როცა ამბობს: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიიტიკოსი; მოშაირე, მჰსგავსი რუსთველისა, რომელმანცა მრავალი საამო შაირნი დასწერა“ („მცირე უწყება“, გვ. 45). ამავე აზრისაა ბესიკზე ერთი ანონიმი პოეტი, რომელიც ბესიკს მელექსეთა მეთაურად სთვლის და რუსთაველს ადარებს.

„ბესარიონ მელექსეთ-ბაში,
ქება გვქონიდა იმგვარებს,
რუსთველისებრ ხმატკბილობით,
არ აკლდება არც ერთ გვარებს“.
(ბესიკი, 1912 წ. გვ. 31)

ამიტომაა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846) ამბობს „ბესარიონ... ფრიად საქებელ არს და ქართველთა პიიტიკოსთა მიერ ფრიად ქებულ არს, და შერაცხიან რიცხვთა შორის პირველთა სტიხატვორთაცა“ (ა 1091, გვ. 98).

მე-18-19 საუკუნის პოეტები სიხარულითა და სიყვარულით შეტრფიან ბესიკს, სთხოვენ —

„შუქი მახხივე შენია,
ჩვენი ბესიკი მაბრწყინი,
ჩემს გულსა მოსალხენია“.
(ბარამ ბარათაშვილი).

ან და:

„ბეზიკო, ეშხით მორთულო,
სიცოცხლეს შენგან მოველი,
ჟაკდავება ხარ ცხოველი“
(დიმიტრი თუმანიშვილი).

ცნობილია, რომ ბესიკი მთელ რიგ ლექსებში თავის თავს ყარიბს ეძახის:

„ვარ უცხო ვინმე ყარიბი,
ამა სიტყვისა ძმობელი...“

ასევე იქცევიან ბესიკის რანგის პოეტები:

„აწ ყარიბი მარტო დავიარები“.
(მირიან ბატონიშვილი)

„ნეტარძი გულსა ყარიბსა,
კნინ ოდეს მიხვდეს ლხენანი,
აჲდარ გეწყალვი რაინდსა“
(დავით რექტორი).

„ყარიბმან ველარ გავიხარეო,
რადგან მეგობრად არ მიკმარეო“
(ღვთისწყალობა ბებუდაშვილი).

„როს ვნახე შორით ალვა რგული,
ყარიბმან უძლვენ სული და გული“...
„შენი ეშხის მომხვდა ისარი გულსა,
ყარიბი აწ ვუძლვნი ამ ჩემსა სულსა“...
„მე არ ვუწყი რას მიუბნობ და რასა,
მეწალკოტემ მტილის კარი დარასა,
სევდამ ყარიბის გული დარასა“
(დავით ბატონიშვილი).

გვხვდება ასეთი მინაწერებიც: „ეს პეტრე ლარაძე ყარიბმან მისწერა მეფის-ძეს დავითს“.

და კიდევ სხვა მრავალი.

ყველაზე მეტი გავლენა ბესიკის პოეზიამ მოახდინა მე-18-19 საუკუნის შემდეგ პოეტებზე: დავით რექტორზე, მირიან ბატონიშვილზე, დიმიტრი და გიორგი თუმანიშვილებზე, გაბრიელ რატიშვილზე, დავით და ფარნაოზ ბატონიშვილებზე, ბარამ და ზაალ ბარათაშვილებზე.

ამათ პოეზიაში პირდაპირ გადასულა ბესიკური ეპიტეტები: „ტანი ტატანი“, „კეკელა მარდი“, „ორნი ტოლნი“, „ნარგიზი“, „მარახი“, „მთვარე“, „ტანი წვრილი“, „ტანკიპარი“, „ზილფო კავები“, (დიმიტრი თუმანიშვილი); „ალვა ტანი“, „ნარინჯმცველი“, „თხუთმეტი დღის მთვარე“, „მელნის ტბა“, „ინდის ხალი“ (მირიან ბატონიშვილი); „ვით ტატანი აღმოსავლით“, „ვითა ტატანო“, „ირისე“, „ინდური ხალი“, „ლერწამ წელი“, „ვარდის ველი“, „ვარდი შლილი“ (დავით რექტორი) და სხვ.

ზეპირი გზით ჰქონდათ ჩვენს პოეტებს ბესიკის პოეზია შეთვისებული თუ ახლოს, პირადი, ურთიერთობაც ჰქონდათ მასთან? უნდა ვიფიქროთ, რომ ერთიც იყო და მეორეც. ცნობილია, რომ ბესიკი მეგობრობდა თავის დროის პოეტებს დავით რექტორს, მირიან ბატონიშვილს, დავით ორბელიანს და დიმიტრი თუმანიშვილს.

ეს უკანასკნელი ასე მიმართავს ბესიკს:

„სამყაროშდე ამქუხარებ
შენის შტილის მაღალ თქმასა,
ზოგჯერ გვასმენ ლექსსა აზრით,
ზოგჯერ ოდენ გვაბგერ ხმასა,
წარსულს ჟამს ჰკვებ სიქადულით,
ამით ოდენ არ გვყოფ ხმასა,
ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდეს,
ძეგობრულად გეტყვი ძმასა“. [1]

ასევე მიმართავდა დავით რექტორი ბესიკს:

„საყვარელო ძმაო, სულით მეგობარო...
შენნი მასურნენ მშვიდობისა, ჰამბავნი...“
„სულითა საწყურო, გულისა შენაყვარო...
ჟამთა მიერით მამღერენ სევდის რუკნი“...

ასევე მოწიწებით მიმართავს თავის ლექსებში მირიანი ბესიკს.

ყოველივე ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მარტოდმარტო ბესიკი იყო მე-18 საუკუნის ქართველ პოეტთათვის შთაგონების საგანი. ცნობილია, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის ქართულ პოეზიას რუსთაველის შემდეგ ტონს აძლევდა დავით გურამიშვილი, საიათნოვა, ანტონ პირველი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ დავით გურამიშვილი რუსეთში მომუშავე ძველ ქართველ პოეტთათვის იყო სათაყვანო, საიათნოვა — აშუღებისათვის, ხოლო ანტონ პირველი — სასულიერო მწერლებისათვის.

ბესიკი იყო მისაბაძი მაგალითი საქართველოში მომუშავე „ვარდ-ბულბულიანის“ პოეტებისათვის. აი, თუნდაც დავიწყოთ ბესიკის ლექსით:

„სევდის ბაღს შეველ შენაღონები,
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები,
ვარდმა შემრისხა თავმომწონებით,
ისარი მტყორცნა დანაღონები.“

ამ ლექსის გავლენითაა დაწერილი ბარამ ბარათაშვილის ლექსი „ნუ მწვავ მიჯნურო“:

„ნარგიზს ვეხვეწე, არ შემიბრალა,
წამწამთ ისარი გულს გამიყარა...
ია კი მიწვევს, მო ახლოს არე,
ნარგიზი მტუქსავს: „გარს გაიარე“.
მეველ და ვარდსა შევემუდარე,
მითხრა: „ყარიბო, ჩემს არეს არე“.

ასევე უწერია „სევდის ბაღს შეველ“ ხმაზედ სათქმელი ლექსი გაბრიელ რატიშვილს (1770-1825 წ.) აი ეს ლექსი:

„სევდის ბაღს შეველ ნახვად ყვავილთა,
თავმოხრით შვენოდა უხოდ (?) იანი,
საყნოსად ვინებე, ვითა მსუროდა,
გონება მიმხადა უსულიანი“...

„სევდის ბაღის“ განცდაა გადმოცემული ოთარ ქობულაშვილის ლექსში, რომელიც ასე იწყება:

„სევდის ბაღსა მჯდომელმან,
გლახ გული ტანჯვით ოხრევდა“..

არა ნაკლებ პოპულარულია ბესიკის „ტანო ტატანო“.

მირიან ბატონიშვილი სწერს:

„შავთმოსანო, კეკლუც ალვა ტანადო,
სამოთხეს მოსულო მაისის ვარდო,
სილამაზით ნეტარ რას შეგადარდო“...

სტეფან ფერშანგიშვილი:

„ვარდო, ნეტარ რას შეგადარდო,
მოსურნეთათვის დარდო,
ოი, ედემს ილნაზარდო“...

დიმიტრი თუმანიშვილი:

„მისის ნახვით შეიმატდენ მრავალთა წელთა,
ლამაზ ქცევითა, საუბრითა მონარნარობდა“...

ასევე პოპულარულია ლექსი „დედოფალს ანაზე“. ამ მხრივ პირველია დავით რექტორია შესანიშნავი:

„მიჯნური ჩემი დავკარგე,
ვა ჩემსა ამისთანასა“...

საინტერესოა, რომ დავით რექტორის ტრფობის ერთერთი ობიექტი სწორედ ანა იყო (ცხადია, ეს არაა ბესიკის ანა დედოფალი“):

„საროდ მხნეო, ზარიფანავ,
კიპაროზო, ნორჩო ტანავ,
ლალის ბაგით პაწაწანავ,
ღაწვ ვარდებით თანისთანავ,
წამწამებით ისრით მანავ“.

და აგრეთვე პოეტის გიორგი თუმანიშვილის ლექსი „ნარნარად მხნეო ზანანავ“.

ცნობილია ბესიკის პოეზიის ერთ-ერთი შედევრი („იადონს ის ევარდა“)...

„ნარგიზს დარა მანდარა,
რამცა დარა მანდარა“...
სათზე დარა მანდარა

ამის გავლენით უნდა იყოს დაწერილი ელიზბარ ერისთავის ლექსი:

„აფროდიტს, ვიტყვი, შენ არ დაროდა,
მუშტარ, ზუჰალობ, დასადაროდა,
უთმენის სევდით დასაყაროდა“...

ასევე გავლენა მოუხდენია ჩვენს პოეტებზე ბესიკის ლექსს „მე მივხვდი მაგა შენსა ბრალებსა“, რომლის ერთი სტროფი ასე იწყება:

„ნუ თუმცა ნახოთ ვარდი მცინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე“...

ამის მიხედვით სწერს ფარნაოზ ბატონიშვილი ლექსს:

„იგონეთ ყოველთა დრონი წინარე,
გინა თვისნი ხართ, ანუ ვინარე“...
ისმინეთ ჭირნი მოუსმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე...“

ან თუნდ დიმიტრი თუმანიშვილის ლექსი:

„ყელ თეთრი, მჭვირვალი, ფრიად მკსინვარე,
ზარიფის მკლავებით, ნაზად მჩინარე...“

ასეთია ერთი ფურცელი ბესიკის გავლენისა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის დამდეგის ქართულ პოეზიაზე.

[1] ეს ლექსი ინახება ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებში.

# გარდაიცვალა პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოწინავე საბჭოთა პოეტი

ვალერიან გაფრინდაშვილის გარდაცვალება მკითხველთა და მწერალთა საზოგადოებრიობის ღრმად გულისტკივილს იწვევს: ქართულმა საბჭოთა პოეზიამ ერთერთი თავისი აქტიური მოწინავე ძალა დაჰკარგა. ოცდახუთ წელიწადზე მეტს მოღვაწეობდა იგი ქართულ სამწერლო სარბიელზე და თავისი ნაყოფიერი შემოქმედებით წარუშლელი კვალი დასტოვა ახალი ქართული პოეზიის განვითარებაში.

ვალერიან გაფრინდაშვილისათვის, როგორც შემოქმედისათვის, მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ყველა ეტაპზე დამახასიათებელი იყო სიახლის გრძნობა, ურომლისოდაც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ჭეშმარიტი პოეტი. ამ სიახლის გრძნობამ დააყენა იგი ძველი, უკვე გაცვეთილი პოეტური ხერხების უარყოფის და ახალი ფორმების ძიების გზაზე.

ვ. გაფრინდაშვილმა ყურადღება მიიქცია, როგორც ქართული ლექსის ოსტატმა. მან ჩვენს პოეზიაში შემოიტანა უახლესი ევროპული და რუსული ლექსის კულტურა. ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის ვალერიან გაფრინდაშვილს, როგორც სიმბოლიზმის ერთერთ ყველაზე ტიპიურ წარმომადგენელს და ამ სკოლის ნიჭიერ თეორეტიკოსს, რომელმაც თავიდანვე მკითხველთა ყურადღება მიიქცია დიდი ერუდიციით ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში. მაგრამ თავისი სიმბოლისტური წარსულით ვალერიან გაფრინდაშვილი ეკუთვნის ისტორიას. მომქმედი და ცოცხალი რჩება ვ. გაფრინდაშვილი, როგორც საბჭოთა პოეზიის ერთერთი თვალსაჩინო ფიგურა.

ვ. გაფრინდაშვილი თავისი კორპორაციიდან ერთი იმ პირველთაგანი იყო, რომელმაც ყველაზე ადრე იგრძნო და შეიგნო სიმბოლისტური პოეტური სკოლის უნიადაგობა და შეუსაბამობა განახლებული ცხოვრებისათვის, ახალი მკითხველის მოთხოვნილებისა და საჭიროებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ვალერიან გაფრინდაშვილი ჩაება ჩვენი ქვეყნის დიდი კულტურული მშენებლობის საქმეში და მთელი თავისი მდიდარი პოეტური კულტურა და ლიტერატურული გამოცდილება გამოიყენა ახალი ქვეყნის მშენებელი მასების სამსახურისათვის. მან პირველმა მოჰკიდა ხელი ევროპული და რუსული რევოლუციური პოეზიის საუკეთესო ნიმუშების თარგმნას. ეჟენ პოტიეს, ვერჰარნის, უიტმანის, ბლოკის, ბრიუსოვის და მაიაკოვსკის რევოლუციურ ლექსებს ქართველი მკითხველი სწორედ ვალერიან გაფრინდაშვილის ოსტატურად შესრულებული თარგმანებით გაეცნო.

რევოლუციური პათოსით გამსჭვალული პოეზიის შესწავლამ და ქართულად მისმა თარგმნამ დიდი გავლენა იქონია თვით ვ. გაფრინდაშვილის პოეტური შემოქმედების იდეურ გაჯანსაღებაზე.

სოციალიზმის გრანდიოზულმა წარმატებებმა, საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურულმა აყვავებამ, ვ. გაფრინდაშვილის პოეზია საბოლოოდ გასწმინდეს ყოველგვარი მისტიციზმისა და ესთეტიზმისაგან და დაუკავშირეს იგი გმირულ საბჭოთა სინამდვილეს.

ვალერიან გაფრინდაშვილი განსაკუთრებით დიდ შემოქმედებით აქტივობას იჩენს საბჭოთა მწერლობის იმ საერთო აღმავლობის პერიოდში, რომელიც მოჰყვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებას. ვ. გაფრინდაშვილმა ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას მრავალი შესანიშნავი ლირიკული ლექსით უპასუხა.

ვ. გაფრინდაშვილის რამდენიმე ლექსი, უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი, დარჩება, როგორც საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ერთერთი საუკეთესო გამოხატულება.

ვ. გაფრინდაშვილის ლექსები, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში დაწერილი, ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა რუსულ, უკრაინულ და სხვა მოძმე ხალხთა ენებზე.

დაუვიწყარია ვ. გაფრინდაშვილის ღვაწლი, როგორც ევროპული და რუსული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო მთარგმნელისა. მის კალამს ეკუთვნის პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, შევჩენკოს ლექსების და პოემების თარგმანები. მანვე დიდი ოსტატობით სთარგმნა გუცკოვის „ურიელ აკოსტა", შილერის „ყაჩაღები", ჯონსონის „ვოლპონე" და სხვა. ვ. გაფრინდაშვილი სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი და ოსი პოეტების მთარგმნელი და პოპულარიზატორი იყო. თავისი შემოქმედებით იგი ხელს უწყობდა ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცებას.

ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა ვერ დაივიწყებს ვალერიან გაფრინდაშვილს აგრეთვე, როგორც ქართული კლასიკური და საბჭოთა პოეზიის რუსულ ენაზე მთარგმნელს. მის მიერ რუსულად თარგმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვა ქართველ საბჭოთა პოეტების ზოგიერთი ლექსი შეიძლება ჩაითვალოს ლექსითი თარგმნის ბრწყინვალე ნიმუშად.

ვ. გაფრინდაშვილი იყო აგრეთვე ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ერთერთი თვალსაჩინო ორგანიზატორთაგანი. მან მწერლებისადმი თავისი გულისხმიერი დამოკიდებულებით საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მთარგმნელთა სექცია, რომელიც მთელი ხუთი წლის განმავლობაში მისი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა, გადაიქცა მხატვრული თარგმნის ნამდვილ შემოქმედებით ლაბორატორიად, რომელმაც ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანა მხატვრული თარგმნის კულტურა.

განსაკუთრებული ღვაწლისათვის ქართულ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში და ფართო საზოგადოებრივი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ვალერიან გაფრინდაშვილი დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი — „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვ. გაფრინდაშვილს ხელიდან არ გაუგდია კალამი. სწორედ ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მან შექმნა თანამედროვე თემატიკაზე სონეტების მთელი ციკლი და სთარგმნა მოძმე ხალხების პოეტური შემოქმედების ნიმუშები.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში ვ. გაფრინდაშვილი შევა, როგორც ერთერთი შესანიშნავი საბჭოთა პოეტი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი:
**ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, სანდრო ეული, შალვა რადიანი.**



## დეპეშები ვ. გაფრინდაშვილის გარდაცვალების გამო

სსრკ მწერალთა კავშირი იზიარებს ღრმა მწუხარებას საუცხოვო პოეტისა და ამხანაგის ვალერიან ივანეს-ძე გაფრინდაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო, რომელმაც ბევრი შრომა დახარჯა მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კულტურული კავშირის განმტკიცებისათვის.

**სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი**

თბილისი, საქართველოს მწერალთა კავშირს

დამწუხრებულნი ვართ საყვარელი ვალერიან ივანეს-ძე გაფრინდაშვილის გარდაცვალებით. დავკარგეთ ლექსის დიდი ოსტატი, მგრძნობიარე ადამიანი, საუცხოვო მეგობარი. ვწუხვართ თქვენთან ერთად.

**გოლცევი, ანტოკოლსკი, პასტერნაკი, დერჟავინი, დოლმატოვსკი.**

საქართველოს მწერალთა კავშირის სახელზე მოვიდა დეპეშები აგრეთვე რუსეთის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობისაგან, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის და ქუთაისის მწერალთა კავშირებიდან და აფხაზეთის სახალხო პოეტ დიმიტრი გულიასაგან.

## ვალერიან გაფრინდაშვილის დაკრძალვა

2 თებერვალს, დილის 10 საათზე, ვ. გაფრინდაშვილის ცხედარი ბინიდან მწერალთა სასახლეში გადაასვენეს.

პირველ საათზე შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი. მწერალთა სასახლეში პოეტის ხსოვნის პატივსაცემად თავი მოეყარათ მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს, მეცნიერ მუშაკებს და მოსწავლე ახალგაზრდობას.

საპატიო ყარაულში ერთმანეთს სცვლიან მწერლები, მსახიობები და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკები.

ცხედრის გამოსვენების წინ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა სიმონ ჩიქოვანმა. მან განსვენებული დაახასიათა, როგორც მოწინავე საბჭოთა პოეტი, რომლის შემოქმედება გამსჭვალულია მშრომელი ხალხისა და დიადი სამშობლოს განუსაზღვრელი სიყვარულით. რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით გამოვიდა სსრკ სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოსთქვა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვასო გოძიაშვილმა, ქართველ დრამატურგთა სახელით—სანდრო შანშიაშვილმა.

დღის 2 ნახ. საათია. მწერალთა სასახლიდან ყვავილებითა და გვირგვინებით შემკული კუბო გამოასვენეს ირაკლი აბაშიძემ, გიორგი ლეონიძემ, ლეო ქიაჩელმა, შალვა რადიანმა, ბესო ჟღენტმა, სანდრო შანშიაშვილმა, რაჟდენ გვეტაძემ, შალვა აფხაიძემ და ლევან ასათიანმა.

მრავალრიცხოვანმა სამგლოვიარო პროცესიამ შესანიშნავი საბჭოთა პოეტის ცხედარი მიაცილა ვაკეში არსებულ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონამდის. საფლავზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა ბესარიონ ჟღენტმა.

დღის 5 საათზე ვალერიან გაფრინდაშვილის ცხედარი მიწას მიაბარეს.

## ვალერიან გაფრინდაშვილი

პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი დაიბადა 1889 წელს ქალაქ ქუთაისში, მასწავლებლის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც მან 1914 წელს დაასრულა.

ლექსების წერა გაფრინდაშვილმა დაიწყო ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს. პირველად იგი სწერდა რუსულ ენაზე. ვალერიან გაფრინდაშვილის პირველი ორიგინალური ლექსები და ფრანგ პოეტ სიული პრუდომის ლექსების თარგმანი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიბეჭდა მოსკოვის „პონედელნიჩნაია გაზეტაში". ცოტა მოგვიანებით მისი ლექსები დაიბეჭდა სერგეი გოროდეცკის ჟურნალში „Ars" (ხელოვნება). უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ვ. გაფრინდაშვილი მუშაობდა ქუთაისში კლასიკურ გიმნაზიაში რუსული ენის მასწავლებლად.

ქართულად ლექსების წერა პოეტმა 1915 წელს დაიწყო. ამავე წლიდან იბეჭდება მისი ნაწერები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1919 წელს ქუთაისში გამოვიდა პოეტის ლექსების პირველი წიგნი „დაისები". იგი ამ დროს უკვე მუშაობდა ქართველ სიმბოლისტების ჯგუფში, რომელიც გაერთიანებული იყო ჟურნალ „ცისფერი ყანწების" ირგვლივ. იგი იყო ამ ჯგუფის ერთ-ერთი მეთაურთაგანი. ვალერიან გაფრინდაშვილი ითვლებოდა სიმბოლისტების ტიპიურ წარმომადგენლად და იგი მუდამ იპყრობდა მკითხველი საზოგადოების ყურადღებას, როგორც ლექსის თავისებური და ორიგინალური ოსტატი.

გარდა ლექსებისა, გაფრინდაშვილის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მეტად საინტერესო თეორიული წერილი საერთოდ სიმბოლიზმისა და კერძოდ ქართული სიმბოლიზმის შესახებ.

1921 წელს ვალერიან გაფრინდაშვილი თბილისში გადმოდის და მთლიანად ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა. ამ წელს ქართულიდან რუსულად გადათარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, რომლებიც ცალკე წიგნად გამოსცა სახელგამმა 1922 წელს.

ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით ჯერ ქუთაისში და შემდეგ თბილისში გამოდიოდა ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები".

თბილისში ყოფნის პირველ წლებშივე იგი სთარგმნიდა რუსი და ევროპელი პოეტების ლექსებსა და პოემებს. 1926 წელს გამოვიდა მისი ლექსების მეორე წიგნი.

თბილისის პერიოდულ გამოცემებში ვ. გაფრინდაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა. სისტემატურად ბეჭდავდა თავის ლექსებსა და თარგმანებს. იმავე დროს იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა ამ გამოცემათა ყოველდღიურ საქმიანობაში. იყო ჟურნალ „დროშის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, რამდენიმე წელიწადს მუშაობდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" ლიტერატურული განყოფილების გამგედ.

მწერალთა საკავშირო ყრილობის შემდეგ (1934 წ.) ვალერიან გაფრინდაშვილი ყოველდღიურ მუშაობას ეწევა საქართველოს მწერალთა კავშირში. ამ წლიდან, ვიდრე 1939 წლამდე, იგი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი და ერთ-ერთი მდივანია. იგი განაგებდა მასობრივ განყოფილებისა და მთარგმნელთა სექციას.

1937 წელს „ფედერაციამ" გამოსცა მისი ლექსების მესამე წიგნი.

გარდა ლექსებისა, ვ. გაფრინდაშვილი სთარგმნიდა პიესებს. მან სთარგმნა გუცკოვის „ურიელ აკოსტა", შილერის „ყაჩაღები", ბენ ჯონსონის „ვოლპონე", შელის „ბეატრიჩე" და სხვ.

ვალერიან გაფრინდაშვილი აქტიური სამწერლო მოღვაწეობისათვის და შემოქმედებითი მიღწევებისათვის სსრკ მთავრობის მიერ დაჯილდოებულ იქნა უმაღლესი ჯილდოთი — „საპატიო ნიშნის" ორდენით.

მიუხედავად ხანგრძლივი ავადმყოფობისა, ვალერიან გაფრინდაშვილს ლიტერატურული მუშაობა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია. უკანასკნელ წლებში მან დასწერა საინტერესო სონეტების სერია, დაასრულა პოემა ბათუმის 1902 წლის მუშათა დემონსტრაციის შესახებ, სთარგმნა მოძმე რესპუბლიკების პოეტთა ლექსები. სიკვდილის წინა დღეებში დაასრულა ვიქტორ ჰიუგოს პიესის „რუი ბლაზის" თარგმნა. პიესა იდგმება მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

---

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება ორდენოსან პოეტის

**ვალერიან გაფრინდაშვილის**

გარდაცვალებას.

---

„ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია მწუხარებით იუწყება ჩვენი გაზეთის მუდმივი თანამშრომლის, ორდენოსანი პოეტის

**ვალერიან გაფრინდაშვილის**

გარდაცვალებას.

---

ჟურნალ „მნათობის" რედაქცია მწუხარებით იუწყება „მნათობის" მუდმივი და აქტიური თანამშრომლის, ორდენოსანი პოეტის

**ვალერიან ივანეს-ძე გაფრინდაშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას.

---

# გრიგოლ აბაშიძის პოეზია*

### გ. ნატროშვილი

სოციალისტური ადამიანის ახლებური გრძნობები და განწყობილებები, დიდებული სასიცოცხლო რიტმი ჩვენი დღეებისა, მზიანი ბედი იმ თაობისა, რომელიც დაიბადა და დავაჟკაცდა რევოლუციის ეპოქაში, — ეს არის მთავარი პათოსი გრიგოლ აბაშიძის პოეზიისა. ეს დიდი, ეპოქალური თემაა და ამიტომაც პოეტი მას უფრო ფართოდ იღებს. პოეტი, რომელსაც გააჩნია ცხოვრების ღრმად შემეცნების უნარი, არ დაკმაყოფილდება თავისი თანამედროვის მარტო სტატიური აღწერით, ის უფრო შორს იცქირება, რათა დაინახოს და გვიჩვენოს განცდა არა მარტო თავისი თანატოლისა, არამედ წინაპრისაც და შთამომავლისაც, მოგვცეს პოეტური სახეები წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა. სწორედ ეს უცდია გრ. აბაშიძეს, რომელიც „ფუძემდებელსა" და „სვენწკის ჩვენებაში" შორეულ წარსულს უბრუნდება, „ანდერძნამაგში" თაობებისა და წლების მიღმა მომავლის ოცდახუთი წლის ახალგაზრდას ესაუბრება, ესაუბრება იმ თაობას, რომლის დროსაც მსოფლიოს გლობუსი, თვითონ პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, მარტო ერთი ფერით, მარტო წითელი ფერით იქნება შესრულებული, ხოლო „დიდ ქალაქში", „სიჭაბუკის გაზაფხულში" და სხვა ლექსებში დღევანდელი ეპოქის სიდიადის მძაფრ ლირიულ შეგრძნობას გვაძლევს.

ვინ არა სწერს ახლა ისტორიაზე, ის თითქმის მოდად გადააქციეს. მაგრამ ხშირად ამ ნაწარმოებებს აკლია სწორედ ჭეშმარიტი და ჯანსაღი ისტორიზმი. საქმე ის არის, სწერო ისტორიაზე ისე, რომ დაინახო განვითარების პერსპექტივა, დაინახო მემკვიდრეობითი კავშირი ეპოქათა შორის, ასახო წარსული, რომელიც დანახული და გამოხატული იქნება თანამედროვეობის პრიზმაში, დანახული იქნება მემკვიდრის თვალით, იმ თაობის თვალით, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში პირველმა იხილა და განიცადა უთვალავ თაობათა ოცნების განხორციელება. ამ გზით არის შესაძლებელი გამოხატვა წარსულის დიდი ადამიანებისა ისე, რომ მკითხველმაც იგრძნოს სულიერი ნათესაობა და სიახლოვე თავისი ხალხის წარსულთან.

ეს სიახლოვე და ერთიანობა სჩანს გრ. აბაშიძის ლექსებში, ამაშია მისი ამ ციკლის ლექსების მთავარი ღირსება. პოეტი სწერს:

> „მე ისე ლექსს რა გამაბედვინებს,
> გულში თუ ტრფობის ქარი არა ჰქრის—
> მიწა სჭამს ყველა ჯალალედინებს,
> მიწა კვლავ ბრწყინავს თბილის ქალაქის.
> და დილით მზე რომ გაალებს ცისკარს,
> ერთ სხივს ჩემსკენაც გამოაგზავნის,
> მე მზის სხივის და თბილისის ხნის ვარ,
> მეც გაჩენილი ვარ გორგასლანის".

ეს სტრიქონები მოყვანილია პატარა ლირიული ლექსიდან — „თბილისიდან". მაგრამ ამავე თვალსაზრისს პოეტი უფრო ფართოდ შლის და ხსნის „ფუძემდებელსა" და „სვენწკის ჩვენებაში". ეს ლექსები მარტო თავიანთი მტკიცე შინაგანი კომპოზიციური გამართულობით როდი არიან საინტერესონი. აქ ისტორიის ის ფილოსოფიაა გადმოცემული, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით. მათში თითქოს ისტორიის სუნთქვა ისმის. „ფუძემდებელში" მოცემულია ხალხური გაგება იმ თავისუფალი და ქედფიცხელი წინაპრისა, რომლის გაჩენის დღეს წელთაღმრიცხველიც ვერ მისწვდა, რომელმაც პირველმა ჩაჰყარა თავისი ძვლები და თავისი გულის ფიცარი ქართლის ისტორიის და ქართლის ქალაქების დუღაბად. ამიტომ განიცდიან მისი ძვლები ტკივილს, როცა მისი საკუთარი ხელით ნაშენებ საყვარელ ქალაქს ხან მტრის ლახტი სცემდა და ხან მიწისძვრა ურღვევდა ამოყვანილ კედლებს. გორის ციხე და ქალაქი პოეტს თითქოს საქართველოს ისტორიის სიმბოლოდ აუღია. ეკლიან და ნისლიან გზას მოარღვევდა საუკუნეების განმავლობაში ეს ქალაქი, რომელიც ბნელ წარსულში მზის ამოსვლას „აღარ ეღირსა, აღმოსავლეთი დაჰკარგოდა თითქო სამყაროს" მანამდე, სანამ აქვე, ერთ პატარა ქვითკირის სახლში ბელადის აკვანი არ დაირწა. ამ ისტორიული დღიდან უბრუნდება მას სიცოცხლე, პირვანდელი ახალგაზრდობა და ხალისი, წინაპარიც ამ წუთიდან ჰგრძნობს თავის უკვდავებას, ჰგრძნობს იმ საძირკვლის სიმტკიცეს და ურღვევლობას, რომელიც მან ოდესღაც, უხსოვარ წარსულში ჩაუყარა ამ ქალაქს.

ასე იქცა გრ. აბაშიძის ლექსში ისტორიის თემა თანამედროვეობის აქტუალურ თემად, ასეთი განათება ეძლევა ისტორიას პოეტის ყველა იმ ლექსში, სადაც ის ერთის შეხედვით თითქოს წარსულის წიაღში ბრუნდება.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, ეს დაბრუნება და უკანდახევა არ არის.

ლექსების ამავე ციკლს ეკუთვნის „სვენწკის ჩვენება". ამ ლექსმა თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში ვახტანგისა და გურამიშვილის ცხოვრების თემას მოქალაქეობრივი უფლება დაუმკვიდრა. ამ ლექსში მოცემულია მთელი ის თაობა, რომელსაც სულიერად ეკუთვნოდა მეთვრამეტე საუკუნე, მაგრამ, რომელსაც თავის ქვეყანაში დამარხვაც არ ეღირსა. აი ეს ტრაგედია, ძველი საქართველოს ტრაგედია გამოხატა აქ პოეტმა, გვიჩვენა რა, ერთის მხრით, მძაფრი კონტრასტი წარსულსა და აწმყოს შორის, მეორეს მხრით — სულიერი მემკვიდრეობის განუწყვეტელი ძაფი ქართული ისტორიის ეპოქებს შორის.

გრ. აბაშიძის ლექსში სჩანს ნათელი ფანტაზია, ამიტომ ასე ბუნებრივია და უშუალო ის გადასვლა რეალურიდან ფანტასტიურში, რომელიც „სვენწკის ჩვენებაშია" მოცემული. ლექსი ზამთრის სურათის აღწერით იწყება. თოვს და ქარიშხალი ადამიანს სახეში აყრის თოვლის ფიფქებს. ვსესვიატსკოეს მწირი მიდამო, — საფლავების გერბებიანი ქვების პეიზაჟის ფონი, — რაღაც მძიმე განწყობილებას ჰქმნის. და უცებ ჩვენს თვალწინ ლექსიდან მეთვრამეტე საუკუნის მოსკოვის გარეუბანი გადაიშლება: პოეტი-მეფე ვახტანგი ბუხარში ცეცხლს შეუმატებს, ხოლო სულხან-საბა იგავებს მოუყვება მეფის ამალას. წკრიალა მაჯამებით და ავთანდილის შაირებით იხებენ გულს. ნელნელა ჩნდებიან დავით გურამიშვილისა და მამუკა ბარათაშვილის აჩრდილები, ნელნელა — მხატვრული ტაქტით, ალღოთი და გემოვნებით ასრულებს და აფართოებს გრ. აბაშიძე თავის პოეტურ ფრესკას. არის აქ პატარა გადახვევა ისტორიული ქრონიკიდან — გურამიშვილი მოსკოვში ველარ მიუსწრებდა და ველარ ნახავდა სულხან-საბა ორბელიანს, — მაგრამ ეს გადახვევა გამართლებულია, რადგან მწერალი ისტორიას კი არ მოგვითხრობს, არამედ პოეტურ ლეგენდასა ჰქმნის. ლეგენდას კი თავისი სიმართლე აქვსო, — ამბობდა ჰიუგო: მისი მიზანია წამიერი ადამიანით გამოხატოს მარადი ადამიანი. ამიტომ ლეგენდა ხშირად წლებს კი არა, საუკუნეებსაც არა სთვლის. „სვენწკის ჩვენება" ამ მიზანდასახულობას საუცხოვოდ აღწევს.

რა ბუნებრივად, რა უშუალოდ არიან მოცემული ეს ადამიანები: ძველი ქართველი დარბაისლები — დიდსახელიანი პოეტები და დიდი პატრიოტები, რომელთაც ფრანგების დესპანის მოსვლა ელანდებათ. თვალები უბრწყინდება საბას, კრძალვით მოიკითხავს პაპსა და გრანდუკას, უხარიან მეფესაც, გაღიმებული მშვიდად შეირხევა მამუკა ბარათაშვილიც. მაგრამ, როგორც პოეტი გვიჩვენებს, ეს ერთი წუთია სასოწარკვეთილებისა და მოლოდინის წუთებს შორის. გაივლის ეს წუთიც და ისევ იწყებენ ძველი აჩრდილები მოთქმას სოფლის სიმუხთლესა და ვერაგობაზე, სწყევლიან ღმერთს და წმინდანებს, რომელთაც, მათი გაგებით, ასე უკულმართად მოაწყეს ბედი მათი ქვეყნისა. პოეტი გაეცლება ამ გლოვას და გონების თვალით ისევ აწმყოში ბრუნდება:

> „დავდექ კართან, გადმომეხურა
> გაბრწყინვებული ცა ჩრდილოეთის,
> ვიდექ მარტოკა და უჩერხულად
> და მომძახოდა ლანდი პოეტის:
> — როგორ შორსა ვარ, ბნელში დავეცი,
> შენ მზეში დგეხარ ცამდის მისული,
> სვენწკაში გაწყდა ჩვენი ანდერძი,
> ეცადე, იქნებ შენ გაგვისრულო...
> ჩამომძახოდა ხმა დიდებული,
> წლებს მისტიროდა დაუდაფნავებს.
> ვიდექ მარტოკა, გარინდებული
> და დავყურებდი ქართულ საფლავებს.
> ქვებს შერჩენოდათ გერბები ქართლის,
> საფლავებს — ბელტი მიწის მხურვალის
> ბნელს ჩავყურებდი ლექსების სანთლით
> გვიან მოსული პირისუფალი.
> და მსურდა მათებრ უბრალო ენით
> ლექსს მივსწვდომოდი მაღალფარდოვანს,
> მისთვის, ვინც მტკვრიდან სამშობლო ჩვენი
> ხასანის ტბამდის გააფართოვა".

ასე უაღრესად თავისებურად დაამთავრა რა პოეტმა სურათის აღწერა, პოეტურად იხატრა მიწვდომა იმ მაღალფარდოვან ლექსამდე (ამ სიტყვის უკეთესი გაგებით), რომელიც უბრალო სიტყვით ეპოქალურ ჭეშმარიტებას გადმოგვცემს, გამოხატა სურვილი მიწვდომისა ნათელ სიტყვამდე, რომ გამოეხატა სახე ადამიანისა, ვინც თავისუფლების გაზაფხული დაუმკვიდრა ჩვენს სამშობლოს.

ეს პოეტური ნატვრა განახორციელა გრ. აბაშიძემ თავისი პოემით „შავი ქალაქის გაზაფხულით".

ეპოქა, რომელსაც „შავი ქალაქის გაზაფხული" ეხება, პირველი რევოლუციის ეპოქაა, როცა ამხანაგი **სტალინი** ფოლადის ხელით რაზმავდა და განამტკიცებდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. პოემაში სჩანს რევოლუციის დიდი სტრატეგი, მასების ბელადი და გენიალური ორგანიზატორი. ავტორი გადმოგვცემს დიდი სტალინის ბრძოლას ჰიათურაში, ეპიზოდს, რომელიც ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია ბოლშევიზმის მატიანეში.

მდინარის სანაპიროზე ჰიათურისაკენ გზას მიჰყვება ახალგაზრდა მგზავრი:

> „ეს არწივი მოფრენილა,
> შევარდნების ასაფრენად.
> . . . . .
> მზე ვის ეტყვის ფერდობიდან,
> მზე ლრუბლებით დადაფნული, —
> ეს ბელადი შემოვიდა
> და პირველი გაზაფხული".

აღწერს რა ბელადის ჰიათურაში ჩასვლას, პოეტი ახლა არალეგალურ სტამბაზე მოგვითხრობს. ის ხატავს **სტალინის** ცეცხლოვან და მგზნებარე მოწოდებებისა და პროკლამაციების ბუმბერაზულ ძალას, ხატავს ერთი კალმის მოსმით:

> „რა პატარა, რა ღონე,
> ებდო ცალკე ანი, ბანი,
> ჯუღაშვილის სტრიქონებში
> ჩადგა როგორც ჰანიბალი".

პოემის სიუჟეტის მთავარი ძარღვი არის დისკუსია ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ნახიზნარში (ადგილია ჰიათურაში). ეს ცხარე პოლიტიკური ბრძოლა, რომელშიაც იმარჯვებს ახალგაზრდა სტალინის გენიალური აზრი და საქმე, პოეტს პლასტიურად და ცოცხლად აქვს გადმოცემული. ის ცდილობს გამოხატოს ორატორული გამჭრიახობა და სიმახვილე

(დასასრული მე-4 გვ.)

*) გრ. აბაშიძე—ასფურცელა, სახელგამის გამოცემა, 1940 წელი.

**მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის**

## ლექსები და სიმღერები ლავრენტი ბერიაზე

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა სადღესასწაულო დღეებისათვის სცემს ლექსებისა და სიმღერების კრებულს ლავრენტი ბერიაზე.

წიგნში მოთავსებული იქნება ქართველი საბჭოთა პოეტების ა. აბაშელის, ირ. აბაშიძის, ა. ადამიას, შ. აფხაიძის, კ. ბობოხიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ვ. გაბესკირიას, დ. გაჩეჩილაძის, რ. გვეტაძის, ი. გრიშაშვილის, ს. თავაძის, ა. თევზაძის, კ. კალაძის, გ. ლეონიძის, ი. ლისაშვილის, ა. მაშაშვილის, რ. მარგიანის, ი. მოსაშვილის, გ. ქუჩიშვილის, და ს. ჩიქოვანის ლექსები.

გარდა პოეტების ლექსებისა, წიგნში მოთავსებული იქნება ხალხური ლექსები და სიმღერები.

წიგნი გათვალისწინებულია 8 ნაბეჭდი ფორმის რაოდენობით. წიგნს მხატვრულად გააფორმებს ლადო გრიგოლია.

## მხატვართა გამოფენა

საქართველოს მხატვრები კარგა ხანია ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავს. თანამედროვე ცხოვრების თემებზე ხატავენ ახალ სურათებს. ამზადებენ დიდ ფერად ტილოებს. სადღესასწაულო დღეებში სამხატვრო გალერეაში მოეწყობა დიდი გამოფენა. გარდა ახალი სურათებისა გამოფენილი იქნება საქართველოს მხატვართა მიერ ამ ოცი წლის მანძილზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებები. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გამოფენისათვის ექსპონატების შესარჩევად გამოჰყო საორგანიზაციო კომისია ლ. ესაკიას (თავმჯდომარე), ქ. გიორგაძის, დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, ს. მაისაშვილის, ს. ლეკიშვილის და ლ. ქიქოძის შემადგენლობით.

## საქართველოს სახვითი ხელოვნების ისტორია

მეტეხის სამხატვრო მუზეუმში საზეიმო დღეებში გაიხსნება მეტად საინტერესო გამოფენა. გამოფენის თემაა „საქართველოს სახვითი ხელოვნების ისტორია ძველი დროიდან დღევანდლამდე".

## ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, მეტეხის მუზეუმი და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მატერიალური კულტურის დაცვის განყოფილება ამზადებს დიდ გამოფენას — „ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია".

გამოფენა მოეწყობა საქართველოს მუზეუმის შენობაში.

## კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობა „მგზავრი"

„ზარია ვოსტოკა" გამომცემლობამ [illegible] კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობა „მგზავრი". [illegible]

## ქართველი საბჭოთა პოეტები

„ზარია ვოსტოკა" გამომცემლობა [illegible]

## ხალხური შემოქმედების გამოფენა

[illegible] ხალხური შემოქმედების ექსპონატები მხატვრული ქსოვილების, ხეზე ამოკვე- [illegible] მ. თოიძე, უ. ჯაფარიძე. სონღულაშვილი.

## გიორგი ლეონიძის შემოქმედების საღამო

29 იანვარს თბილისის **ლ. ბერიას** სახელობის კულტურის სახლში გაიმართა ორდენოსანი პოეტის **გიორგი ლეონიძის** შემოქმედების საღამო.

საღამოზე მოხსენებით გიორგი ლეონიძის შემოქმედების შესახებ გამოვიდა ამხ. ბესო ჟღენტი.

თავის ვრცელ მოხსენებაში ამხ. ბ. ჟღენტი დაწვრილებით შეეხო პოეტის განვლილ შემოქმედებით გზას და აღნიშნა, რომ გიორგი ლეონიძე არის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელი იმ მწერლებისა, რომლებმაც სოციალისტური აღმშენებლობის ძლევამოსილი ზეგავლენით საჯაროთ გადააფასეს თავიანთი წარსული და მტკიცედ დადგნენ საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე.

პოეტი გიორგი ლეონიძე, — სთქვა მომხსენებელმა, — ეკუთვნოდა ქართველ სიმბოლისტების ლიტერატურულ ჯგუფს, თუმცა მისი ადრინდელი პოეტური შემოქმედება მთელ რიგ მომენტებში სცილდებოდა ამ ჯგუფის საერთო იდეურ-მხატვრულ კონცეპციას და უახლოვდებოდა რეალიზმს. შემდეგში გ. ლეონიძე სავსებით თავისუფლდება ადრინდელ იდეურ-მხატვრული ტრადიციებისაგან და ხდება მოწინავე, საბჭოთა პოეტად.

მომხსენებელმა განსაკუთრებით ფართოდ დაახასიათა გიორგი ლეონიძის უკანასკნელი პერიოდის შემოქმედება, დაწვრილებით გაარჩია მისი ლექსები, პოემები და დაასკვნა, რომ მის პოეზიაში ისმის მოწინავე საბჭოთა პოეტის მგზნებარე ხმა. გიორგი ლეონიძის ლექსებს ახასიათებს დიდი რევოლუციური პათოსი, ღრმა ლირიკული განცდა და გულწრფელობა. მან შექმნა საუკეთესო პოეტური ნაწარმოებნი ჩვენს თანამედროვეობაზე, სოციალისტურ სამშობლოზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე. საბჭოთა მკითხველის ცხოველ ყურადღებას იპყრობს გულწრფელობით და უშუალობით აღსავსე ლექსები დიდ **სტალინზე** და პოემა „ბელადის ბავშვობა და ყრმობა". გ. ლეონიძის ლექსებში გამოხატულია საბჭოთა ხალხის სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა დიდი ბელადისადმი.

ბესო ჟღენტის მოხსენების შემდეგ გ. ლეონიძის ლექსები წაიკითხეს პოეტებმა გ. ქუჩიშვილმა, კ. ბობოხიძემ, ი. ნონეშვილმა და ა. თევზაძემ, მარჯანიშვილის სახ. თეატრის ორდენოსანმა მსახიობმა თამარ ჭავჭავაძემ, კულტურის სახლის ლიტ. წრის მსმენელმა რ. დავითაშვილმა. საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა გ. კაჭახიძემ.

ამ საღამომ ნათელჰყო, თუ რაოდენად პოპულარულია საბჭოთა მკითხველის ფართო მასებში გ. ლეონიძის შემოქმედება, თუ რა დიდი ინტერესით კითხულობს ხალხი მის ნაწარმოებებს.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს **ბერიას** სახელობის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდმა და თვითმოქმედმა წრეებმა.

## ბესიკის გარდაცვალებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

რუსთაველის სახელობის ლიტერატურულმა ინსტიტუტმა 4 თებერვალს ჩაატარა ბესიკის გარდაცვალების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა პროფ. მიხეილ ზანდუკელმა. ბესიკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა პროფ. ალ. ბარამიძემ.

სესიაზე მოსმენილ იქნა დოც. ტრ. რუხაძის მოხსენება „ბესიკის გავლენა გარდამავალი ხანის ლირიკაზე" და ა. კენჭოშვილის მოხსენება „ბესიკის ლირიკის გამოძახილი მე-19 საუკუნის პოეზიაში".

პროფ. კორნელი კეკელიძემ სრულიად ახალი საარქივო მასალების საფუძველზე გააშუქა ბესიკის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ზოგიერთი საკითხი.

დასასრულ პოეტმა ი. გრიშაშვილმა წაიკითხა ბესიკის ლექსი.

## ბესიკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო

ბესიკის გარდაცვალებიდან 150 წლისთავის შესრულების გამო მწერალთა კლუბში 5 თებერვალს გაიმართა პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა გიორგი ლეონიძემ. მან მოკლედ დაახასიათა ბესიკის შემოქმედების თავისებურებანი. აღნიშნა ზოგიერთი საინტერესო მომენტები მისი ბიოგრაფიიდან.

„ერუდიტი, მწიგნობარი და მომღერალი პოეტი უდიდეს გავლენას ახდენდა არა მარტო თავის თანამედროვეებზე, არამედ ბესიკის ხმა მოისმოდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც კი. და შემთხვევითი არ არისო სთქვა ლეონიძემ, რომ გ. ერისთავი ერთერთ ლექსში აღწერს რა მწერლებზე დავას ამბობს „ბესიკის ნაცვლად ვინ არისო ვთქვათ მომღერალი".

ბესარიონ გაბაშვილი თავის ლექსებს მღეროდა თარზე, ჭიანურზე. მისი ლექსების ხმა განთქმული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოს საზღვრების გარეთაც.

ბესიკის შემოქმედება უდიდესი საგანძურია ქართული პოეზიისა. მისი პოეტური კულტურა, მისი ლექსის მუსიკალობა უნდა აითვისოს და განავითაროს ქართულმა საბჭოთა პოეზიამ".

ბესიკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი და საინტერესო მოხსენებით გამოვიდა პროფ. ალ. ბარამიძე.

ბესიკზე, როგორც ქართული ლექსისა და ქართული მეტყველების ოსტატზე ილაპარაკა აკაკი გაწერელიამ. იგი შეჩერდა ბესიკის შემოქმედების კავშირზე ქართულ კლასიკურ პოეზიასთან და აღნიშნა მისი შემოქმედების გავლენა მეთვრამეტე, მეცხრამეტე საუკუნისა და ნაწილობრივ თანამედროვე მწერლობაზედაც.

ბესიკისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს გრიგოლ ცეცხლაძემ, იოსებ ნონეშვილმა და ვლადიმერ უბილავამ.

ბესიკის ლექსები წარმოსთქვეს სიმონ ჩიქოვანმა და გრიგოლ ცეცხლაძემ.

# ბიბლიოგრაფია

## დავით კასრაძე—„იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია"

დიდი ქართველი პედაგოგის, ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით **სტალინის** სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა დ. კასრაძის წიგნი „იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია". ამ წიგნში გადმოცემულია ი. გოგებაშვილის მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა ღირსშესანიშნავი ეპიზოდი.

„მე არასოდეს არ დავაგდებ კალამს. მუდამ ვიბრძოლებ უსამართლობის წინააღმდეგ", — უთქვამს ი. გოგებაშვილს შიო მღვიმელისათვის. და მართლაც, როდესაც ეცნობით იაკობის ცხოვრებას და მოღვაწეობას, ხედავთ, რომ მას ამ რწმენისათვის არასოდეს არ უღალატნია. იგი კალმით და პრაქტიკული მოღვაწეობით მუდამ მტკიცედ იბრძოდა ქართველი ხალხის საკეთილდღეოთ.

სარეცენზიო წიგნის ავტორი, ეყრდნობა რა ვასილ ბარნოვის, სოფრომ მგალობლიშვილის, ნიკო ლომოურის და სხვათა მოგონებებს, გადმოგვცემს ცნობებს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. მისი როლის შესახებ ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიის განვითარების საქმეში.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ ასპარეზზე გამოსვლამდე ჩვენ არ გვქონია არც ერთი ქართული ენის სახელმძღვანელო. „დედა-ენამ", „ბუნების კარმა", „კონამ" და „რუსკოე სლოვომ" თამამად შეაღეს ჩვენი სკოლების კარი და ყველა ოჯახში საყვარელ საკითხავ წიგნებად გადაიქცნენ. ამიტომ არ იყო გადაჭარბებული ე. ნინოშვილის სიტყვები, რომელიც მან მისწერა ი. გოგებაშვილს: „განა, ყველანი თქვენგან შედგენილი ქართულ სახელმძღვანელოებზედ არ აღვიზარდეთ? თქვენგან შედგენილ სახელმძღვანელოებში ვისწავლეთ ქართული წერა-კითხვა. თქვენ შეგვაყვარეთ სამშობლო და მისი ენა".

იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძესთან და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა მოღვაწეებთან ერთად ნახევარი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა დედა-ენის მკვიდრ ხიადაგზე დაყენებისათვის. ი. გოგებაშვილი მუდამ ამბობდა: „ის სკოლა, სადაც დედა-ენა გაძევებულია, ის სკოლა კი აღარ არის, არამედ საპყრობილე ყმაწვილის ნორჩი ბუნებისა-ო".

იაკობ გოგებაშვილმა ჩვენს ხალხს შეაყვარა რუსული ენა თავისი ბრწყინვალე სახელმძღვანელოთი—„რუსკოე სლოვო". ეს სახელმძღვანელო არა ნაკლებ პოპულარული იყო ქართველ ხალხში, ვიდრე მისი ცნობილი სახელმძღვანელო „დედა-ენა". აი რას სწერდა იაკობ გოგებაშვილი რუსული ენის მნიშვნელობის შესახებ: „რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნების ეტლმა ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყევრად მივაბათ რუსული ენა და შემდგომ სხვა ენები. მაშინ და მხოლოდ ეტლი ჩვენი ეროვნებისა ჯეროვანი სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზედ და მიაღწევს სამშვიდობო სადგურს". აქ ნათლად და გარკვევით არის აღნიშნული რუსული ენის მნიშვნელობა. ქართველმა ახალგაზრდობამ უნდა შეითვისოს რუსული ენა. „ამიტომ რუსული ენა მიუცილებლად უნდა მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში, და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულიად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა".

დავით კასრაძის წიგნი არ არის მშრალი ქრონოლოგიური აღნუსხვა იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების და მოღვაწეობისა. ეს წიგნი არის პორტრეტი იმ ადამიანისა, რომელიც მხარში ედგა საქართველოს მე-19 საუკუნის ნაციონალურ - განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ წარმომადგენლებს ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს.

დავით კასრაძის წიგნი „იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია" დაწერილია ამ შესანიშნავი მოღვაწის გარშემო არსებული ფაქტიური მასალების ღრმა ცოდნით. წიგნში მოკლედ და ლამაზადაა მოხაზული იაკობის ბავშვობა, აღზრდა, უმაღლეს სასწავლებელში გატარებული წლები და ბოლოს მისი პედაგოგიურ-ლიტერატურული მოღვაწეობა.

ჩვენი ახალგაზრდობა ამ წიგნის საშუალებით გაიცნობს იაკობ გოგებაშვილს, როგორც დაუღალავ პედაგოგს, ჩინებულ ლიტერატორს და გულისხმიერ მოქალაქეს.

**ა. სიგუა**

## ლადო ასათიანის შემოქმედების საღამო

31 იანვარს მწერალთა კლუბში პოეტების სექციამ მოაწყო პოეტ **ლადო ასათიანის** ლექსების კითხვა-განხილვის საღამო. საღამოზე ლადო ასათიანმა წაიკითხა 30-მდე ლექსი, რომელთაგან უმრავლესობა ახალი იყო. წაკითხული ლექსებიდან აღსანიშნავია „სტალინის სამშობლო", „ბელადის დედა", „საკოლმეურნეო ლხინში", „კალმახები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე", „რუსთაველის პროსპექტი", „ვაჟა-ფშაველას ნაამბობი", „ფიროსმანის დუქანი", „კრწანისის ყაყაჩოები", „ვერიკო ანჯაფარიძეს", „არვიცი, ასე რამ შემაყვარა" და სხვ.

ლექსების კითხვის დამთავრების შემდეგ სიტყვით ლადო ასათიანის ლექსების შესახებ გამოვიდა ამხ. **ერ. ასტვაცატუროვი.** სიტყვის შესავალ ნაწილში ასტვაცატუროვმა მოკლედ დაახასიათა საერთოდ ლიტერატურული ახალგაზრდობის შემოქმედება, შემდეგ შეჩერდა ასათიანის ლექსებზე და სთქვა, რომ ასათიანი ლიტერატურული ახალგაზრდობის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელია, მას აქვს ბევრი საინტერესო ლექსი, რომლებშიაც ვგრძნობთ უპირველესად ავტორის შინაგან პოეტურ წვასა და მოვლენათა მხატვრულ მსოფლშეგრძნობას. ამასთან ლ. ასათიანის ლექსებისათვის დამახასიათებელია განცდათა უშუალობა და ლირიკული სითბო. მაგრამ დადებითად არ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მის პოეზიაში წარსულის თემატიკა სჭარბობს თანამედროვეობის თემატიკას. ახალგაზრდა პოეტი ხშირად წარსულის ტყვეა, მის პოეზიაში წარსული გაიდეალიზებული და რომანტიზებული სახით წარმოგვიდგება. ასათიანს უყვარს თავისი სამშობლო, ხალხი, მაგრამ ამ სიყვარულის გადმოცემის დროს იგი ვერ მაღლდება საბჭოთა პატრიოტიზმის დონემდე. პოეტი თანამედროვეობის თვალსაზრისით არ უდგება წარსულს; პირიქით, იგი თვით თანამედროვეობის თემებსაც ისტორიზმით ამძიმებს, თავისი ლექსის მხატვრულ საშუალებებს, საღებავებს წარსულიდან იღებს. ლადო ასათიანის პოეზიაში გვხვდება პესიმიზმის ელემენტებიც. პოეტმა უნდა გამონახოს უფრო ორიგინალური გზა, მხატვრული გამოსახვის უფრო ახალი საშუალებები და გვიჩვენოს პოეტური ფანტაზიის ახალი სამყარო ახალი ადამიანების განცდებით, საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით ვამსჭვალული და გამთბარი ჩვენი დიადი თანამედროვეობის პათოსით. ამის შესაძლებლობა ასათიანს აქვს და თუ ამ გზით წავა, საინტერესო გახდება იგი.

კალე ბობოხიძე ამბობს, რომ ლ. ასათიანს საინტერესო ლექსები აქვს დაწერილი თანამედროვეობის თემატიკაზე. ასათიანის ლექსები გამოირჩევიან პოეტური გზნებით და ლირიკული სითბოთი. აღნიშნავს იმასაც, რომ ასათიანი მართლაც გადაჭარბებულად არის გატაცებული წარსულით.

ლადო ასათიანი, — ამბობს ალ. საჯაია, — საკუთარი ხმის პოეტია. იგი კარგად ფლობს ქართულ ენას. პოეტის მთავარი თემა არის სამშობლო, თანამედროვე საქართველოს სიდიადე და მისი წარსულის გმირული სულის განცდა. საჯაია არ ეთანხმება იმ შეფასებას, რომელიც ასტვაცატუროვმა მისცა ასათიანის ლექსს „საკოლმეურნეო ლხინს". იგი ამბობს, რომ ლადო ასათიანი ამ ლექსში ჰქმნის განწყობილებას, რომელიც თავისთავად გვაგრძნობინებს საკოლმეურნეო სოფლის სილამაზეს. ლადო ასათიანის ზოგიერთ ლექსს, — ამბობს საჯაია, — ეტყობა ლირიკული კომპოზიციის სისუსტე, რაც ყველაზე უფრო „წვიმაში" სჩანს.

სიმონ ჩიქოვანი თავის სიტყვაში დაწვრილებით შეეხო ლ. ასათიანის პოეზიის დამახასიათებელ თვისებებს და აღნიშნა, რომ იგი უთუოდ ნიჭიერი პოეტია, მას ახასიათებს განცდათა სიუხვე, ხატვის მრავალფეროვნება, მძაფრი შინაგანი დრამატიზმი. ბოლოს, შეეხო რა ლადო ასათიანის შემოქმედების ნაკლს, ს. ჩიქოვანმა მიუთითა ისტორიზმით გადაჭარბებულ გატაცებაზე და ესენინურ პესიმიზმზე, რომელიც ძლიერად ისმის ზოგიერთ მის ლექსში.

## გრიგოლ აბაშიძის პოეზია

(დასასრული)

ახალგაზრდა სტალინისა, რომლის ყოველი სიტყვა რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში — გატყორცნილი ისარია, რომელიც აუცდენლად ხვდება მიზანს, ყოველი წინადადება ფაქტებით გასალკლდევებული ბრალდებაა, გაშიშვლებული სიმართლეა უძლეველი თავისი სიცხადით. აქ ნაპოვნია კონკრეტული სახეები ამ დიადი სიმართლის გადმოსაცემად. ამას ვგრძნობთ, როცა ვკითხულობთ პოემაში ზღაპარს დევისა და ვაჟკაცის ბრძოლის შესახებ. პოემაში სჩანს ხალხი და, მეორეს მხრივ, გროტესკულად დახატული ფიგურები მენშევიკებისა, რომლებსაც ზიზღით შეაქციეს ზურგი მაღაროელებმა. დამარცხებული მენშევიკები [illegible] სკანდალით ამთავრებენ და იწყევენ სტალინზე, მაგრამ ჭიათურელი მუშები მკერდით იცავენ ბელადს.

აქაც მკითხველის ყურადღებას იპყრობს პოეტის მძაფრი და ფხიზელი ალღო რეალიზმისა, რომელიც ყოველ ალებულ სავანს, ყოველ პოეტურ ფრაზას და მხატვრულ სახეს ავსებს სერიოზული შემეცნებითი შინაარსით. პოეტის სიტყვა განხორციელებულია [illegible] და ცოცხალ გარემოცვაში. [illegible] ხედავთ არა მარტო ჭიათურელ მაღაროელებს, — ხედავთ ჭიათურის [illegible], შავი ქვის მტვერწაყრილ ბალახებსაც და ყვავილებსაც, [illegible] მიღებულ ყვირილას და ჭიათურის [illegible] გარემოს გადმოსაცემად პოეტს შეურჩევია ორიგინალური [illegible] სახეები, რომელნიც თავიანთ [illegible] განუმეორებელ კოლორიტსა ჰქმნიან. ავტორი იცნობს ადამიანის ფსიქოლოგიას, იმერლის წაუბაძველ გულღიობას და სიხალისეს, რომელსაც იმ წარსულის სიდუხჭირეში ვერ სტეხდა ვერც სიღატაკე და ვერც ხელმოკლეობა. ყველაზე ძლიერ მხატვრულ ეფექტს პოეტი აღწევს იმ სურათში, სადაც აღწერილია სტალინის სტუმრობა იმერელი გლეხის ოჯახში. ჩვენ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ სურათში მთელი იმერული სტუმართმასპინძლობის ეშხი და ლაზათია, ის თავისებური ყოფითი რომანტიკაა, რომელშიაც ჩვენი ხალხის ბუნებრივი კეთილშობილება და უკეთესი ტრადიცია იჩენს თავს. („მნათობი", 1938 წ., № 5, გვ. 191).

სწორედ აქა სჩანს შემოქმედებითი ზრდა პოეტისა, რომელმაც ღონივრად მოჰკიდა ხელი ასეთ დიდ, ასეთ საპასუხისმგებლო თემას და ერთბაშად ჩადგა ჩვენი ლიტერატურის მოწინავე რიგებში.

„ანდერძნამაგი", „სიჭაბუკის გაზაფხული", „ასფურცელა" სოციალისტური ლირიკის ნიმუშებია, სადაც ჩვენი ეპოქის ადამიანის განცდა და მსოფლშეგრძნობაა გადმოცემული. აქ არის სიცოცხლის ღრმა სიყვარული და რაღაც უშუალო ოპტიმიზმი. მხატვრული თვალსაზრისით გრ. აბაშიძის ლირიკას პოეტური ხერხების და ინტონაციების მრავალფეროვნება ახასიათებს. ამიტომ არ უძნელდება მას ხანდისხან ლირიკაში ყოფაცხოვრების ესა თუ ის მხარეც გამოხატოს. დამახასიათებელია მისთვის მსუბუქი და ხალისიანი ჰიუმორი, რომელიც არასოდეს არ დამდაბლდება ვულგარულობამდე და ლირიკული პოეზიის სფეროს არ გასცდება. აშკარა თუ ფარული გროტესკულობის ელემენტი თუ ცალკე სახე ხშირად ემოციურ ძლიერებას და გამომხატველობას ჰმატებს პოეტის ლექსს.

საინტერესო ლექსია „...ის ყელზე მოხვეულ მელას" იგი ენათესავება, ერთის მხრივ, ფოლკლორის პოეტიკას („ან შენი ნამგლის ყანა მქნა, რო ფხაზე შაგეჭრებოდი, ან ვიყო მოვის პერანგი, რო გულზე დაგადნებოდი" და სხვ.), ხოლო მეორეს მხრივ — ნ. ბარათაშვილის „საყურეს" უფრო კი ამ უკანასკნელის გავლენა იგრძნობა.

გრ. აბაშიძის ლირიკა გამსჭვალულია ფხიზელი საზოგადოებრივი ინსტიქტებით და იდეებით და იმავე დროს უშუალო. მაგრამ ამ სისადავეს პოეტი ბოლომდე ვერ იცავს და ხშირად ყალბი, „მწიგნობრული" ტრადიციის ტყვეობაში ვარდება. ის პოეტური შეცდომები, რომელნიც გრ. აბაშიძის შემოქმედებაში გვხვდება, წარმოსდგებიან იქიდან, რომ პოეტი ხანდისხან მანერულობაში ვარდება. თუ „სვენწკის ჩვენებასა" და „შავი ქალაქის გაზაფხულში" იგრძნობა რაღაც სიახლე და სიტყვის თავისუფალი, ცოცხალი მდინარება, „ლიმონებში" ასეთი რამ აღარა სჩანს. აქ ნაწვალები სიტყვა, და ის მოდერნული სახეები, რომლებიც ლექსში არიან ჩართული, ახლები არ არიან. „ლიმონები" თითქოს ნატურ-მორტადაა გააზრებული, მაგრამ მასში მეტისმეტად ნისლოვან ფანტაზიას ყოველგვარი რეალიზმის ნასახი ჩაუკლავს. და, რაც მთავარია, ის ლექსი უმიზნო და უიდეოა. გრ. აბაშიძის ლირიკის ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უსწორმასწორობა და ცალკეული გადახვევა ამ ერთი ლექსით არ თავდება. თუ მისი „სევდა სანაპიროსი", „ციცინათელა" და „გამოსალმება" ახლებური სატრფიალო ლირიკის საუცხოო ნიმუშებია, ამას ველარ ვიტყვით „პალიმფსესტის" შესახებ. არის ამ უკანასკნელში რაღაც არაბუნებრივი ხმა, არა უშუალო, ოდნავ ვულგარულიც და ნასესხები. იქნებ ეს განწყობილება ბუნებრივი იქნებოდა ფრანსუა ვიონის ლექსში. მაგრამ აქ ვერ ახდენს ვერავითარ მხატვრულ ეფექტს.

პოეტი, რომელიც თავის თავს მოქალაქეობრივი პოეზიის მემკვიდრედ აცხადებს, არ უნდა მიილტვოდეს ასეთ რაღაც უმიზნო ესთეტიზმისაკენ:

„შეხედავ სავსეს და ფეხზე დამდგარს,
ვაზაფხულს ქვეყნად მოსულს უვადოდ.
ყველა რაღაცას უმატებს სახლკარს,
მე დიდ ქვეყანას რა მიუმატო!
მე ვისთვის ვახელ თვალს უთენია,
როგორც ბალახი, როგორც ფურცელი.
სუყველას საქმე გაუჩენია —
მე უსაქმობით ვარ მოუცლელი!"

ეს უიდეო და უმიზნო პოეზიის ცალმხრივი ტრადიცია, რომელიც ხანდისხან მეტად შესამჩნევად იჩენს თავს პოეტის შემოქმედებაში, მომავალში მან აუცილებლად უნდა დასძლიოს.

გრ. აბაშიძე თავისუფლად იმორჩილებს სიტყვას და ქართული ლექსის ყველა ცოცხალ ფორმას. მისი უკანასკნელი წიგნი, რომელიც ექვსი წლის შემოქმედებითს პროდუქციას შეიცავს, გვიჩვენებს მის ლიტერატურულ ზრდას. ეს შემოქმედებითი წარმატება საწინდარია იმისა, რომ პოეტი მომავალში მიაღწევს შემოქმედებითი განვითარების უფრო მაღალ ეტაპებს. ამ წინსვლისათვის გრ. აბაშიძეს ყველა შემოქმედებითი პირობა გააჩნია.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ დადიანი, ს. ეულ(ი. ბ ლეონიძე. ზ. ნატროშვილ(ი
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი). ვ წულუკიძე

რედაქციის მისამართი მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი" თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 5967